მიხეილ იარალი

სილნალის სახალხო თეატრი

გამომცემლობა „ხელოვნება“ თბილისი
1972

8 — 1 — 4

---

72 ადგ.

ავტორისაგან

ყოფილ სიღნაღის მაზრის თეატრალურ ტრადიციებზე ცოტა რამ დაწერილა.

წლების მანძილზე ვმუშაობდი სიღნაღის, აგრეთვე მისი ყოფილი მაზრის ,დიდი დასახლებული პუნქტების: ლაგოდეხის, წითელწყაროსა და ველისციხის თეატრებში მსახიობად, რეჟისორად და თეატრის ხელმძღვანელად. როგორც მკვიდრი სიღნაღელი და მისი პატრიოტი გულდასმით ვაკვირდებოდი და ვაგროვებდი მასალას (აფიშებს, პროგრამებს, რეცენზიებს და სხვა) ამ შესანიშნავი მხარის თეატრალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. და აი, დღეს ჩემი დაკვირვება და მოპოვებული მასალა საფუძვლად ,დაედო წინამდებარე ნაშრომს.

მუშაობის პროცესში გამოვიყენე ძველი ჟურნალ-გაზეთების („დროება", „მოამბე", „ცნობის ფურცელი", „იელერია", „თეატრი და ცხოვრება" და სხვა) რეცენზიები და წერილები, თეატრალური მუზეუმისა და საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდები, იმ მოღვაწეთა მოგონებები და წერილები, რომელთაც ოდესმე უმუშავიათ სიღნაღის თეატრში, ან რაიმე დაუწერიათ ამ კუთხის კულტურულ წარსულზე.

ეფიქრობთ, ამგვარი მასალა დააინტერესებს მკითხველს, მით უმეტეს, რომ ბევრი რამ პირველად ქვეყნდება და წარმოადგენს ათეული წლების მანძილზე

გაწეული შრომისა და პირადი დაკვირვების შედეგს და არა ყურმოკრულ ან მოგონილ აშბავს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ საქართველოს თეატრალურ მუზეუმს, კერძოდ, მის დირექტორს გუგული ბუხნიკაშვილს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დოდო ანთაძეს, მხცოვან დრამატურგს სანდრო შანშიაშვილს, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივს, თბილისის ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს ქეთევან ხაჩიაშვილსა და სიღნაღის თეატრის უხუცეს მოღვაწეებს, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს მუშაობის დროს და მოგვაწოდეს მდიდარი და საინტერესო მასალა.

* * *

სიღნაღი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი დასახლებული პუნქტია. იგი მაღალი მთის მწვერვალზე მდებარეობს და გადაჰყურებს ალაზნის თვალუწვდენ ველს. ზოგნი მას ქიზიყის აივანსაც უწოდებენ. მხცოვანმა პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა ახალგაზრდობაშივე ერთ თავის ლექსში მას მზიანეთის დედაქალაქი უწოდა. სიღნაღის მაზრა ერთ-ერთი დიდი მაზრა იყო საქართველოში.

1892 წელს სიღნაღის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს წერდა: „...1 — ჩემდამი რწმუნებულ მაზრაში არ არსებობს განსაკუთრებული გასართობი ადგილები; იმართება სპექტაკლები საქველმოქმედო მიზნით და 2 — ქალაქ სიღნაღში არის ერთი კლუბი, მას ჰყავს 68 წევრი, რომელთაგან ყოველწლიურად შემოდის 8 მანეთი საწევრო გადასახადი.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის თბილი-

სის გრენადერის პოლკის შტაბ-ბინაში ლაგოდეხში და ტვერის ცხენოსანთა პოლკის შტაბ-ბინაში დედოფლის წყაროში[1] აქვთ სამხედრო საკრებულოები"[2].

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ საკრებულოებში ღონისძიებები რუსულ ენაზე ხორციელდებოდა, რასაც იმდროინდელი აფიშები, პროგრამები და პრესის ცნობები ადასტურებენ.

დღეს, თითქმის ყველა სოფელში აშენებულია ან შენდება შესანიშნავი კულტურის სახლები, რომელთა შესახებ წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ არა მარტო ამ კუთხის სოფლებს, არამედ ბევრ ქალაქსაც კი.

სიღნაღი, როგორც ისტორიული ქალაქი, სიძველეთა დაცვის განსაკუთრებულ აღრიცხვაზეა. თუმცა აქ არ არის გრანდიოზული ტაძრები და სასახლეები, თვალსაჩინოა თავისებური არქიტექტურის სადა შენობები ქართული კრამიტით გადახურული და კოხტად გამოჩარხული რიკულებიანი მოაჯირის აივნებით. ყოველივე იმდენად ორიგინალური და მიმზიდველია, რომ ადამიანი პირველად თუ მოხვდა აქ, წასვლა აღარ უნდა, სურს ქალაქის ყველა კუთხე შემოიაროს. ყველაფერს დააკვირდეს და დატკბეს მისი თავისებურებით.

---

[1] ამჟამად წითელწყარო

[2] საქართველოს სსრ ცენტრ. არქივი, ფონდი 17, აღწ. 1, საქმე 8769, ფურც. 5

არც არავის ყმად ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლითწლობამდე გამყოლია.

ხ ა ლ ხ უ რ ი

* * *

ქიზიყელ გლეხობას არ განუცდია ბატონყმობის უღელი. აქ სათემო მიწათმფლობელობა იყო. ამას ხალხური თქმულებაც ადასტურებს.

სავაჭრო კაპიტალი ქიზიყში ფეხს იკიდებს მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში. სოფლად ბობოლა გლეხები პარპაშობდნენ, ხოლო სიღნაღსა და მის დაბებში — ველისციხეში, ლაგოდეხში, გურჯაანში, წითელწყაროში, ქვემო მაჩხაანში ვაჭრობა და აღებმი-

ცემობა იყო გაჩაღებული. ვაჭარი აქ „დიდ ფიგურას“ წარმოადგენდა.

იმდროინდელი ქიზიყელი გლეხობის გასართობი იყო: ყეენობა, ბერიკაობა, ჭიდაობა, საეკლესიო დღეობები, ცეკვა-თამაში.

ასეთი გასართობები გავრცელებული იყო ქიზიყში, ისევე როგორც მთელ საქართველოში. მეცხრამეტე საუკუნის ქართული პრესა სისტემატურად აქვეყნებდა სხვადასხვა დაბა-ქალაქებში ყეენობასა, კრივ-ჭიდაობასა და ბერიკაობასთან დაკავშირებულ ცნობებს.

ყეენობაზე მდიდარ ცნობებს გვაწვდის პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე ნაშრომში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“. მაგალითად, სოფელ მუკუზანში (სიღნაღის მაზრა) მეფე იჯდა პირუკულმა ვირზე, ხელში ეჭირა კუდი, ვირი მოჰყავდა მღვდელს. ყეენი საჩუქრად მამულებს არიგებდა: ამის და ამის წისქვილები შენი იყოსო, ოღონდ შიგ ფეხი არ შესდგა, თორემ პატრონი ცემით წელს მოგწყვეტსო. მეფეს თან ახლდა თარჯიმანი, რომელიც ხალხს უთარგმნიდა მეფე რასაც იტყოდა. როდესაც მეფე მოსახლეს „დაასაჩუქრებდა“, სახლის პატრონს სამაგიეროდ რაიმე უნდა გამოეტანა (პური, ღვინო, საჭმელი). მეფეს ხალხი დასცინოდა, ქვას ესროდა. მღვდელს ანაფორას აფხრეწდა. თამაშის შემდეგ დაგროვილი ხორაგით და ღვინით ქეიფი იმართებოდა.

ყეენობა ეწყობოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს (შავ ორშაბათს) როგორც სამაზრო ცენტრში, ისე სოფლად და მას დიდი სახალხო დღესასწაულის ხასიათი და

ხშირად საქველმოქმედო მნიშვნელობა ჰქონდა. სოფელ ანაგაში ყეენი ჯინით (მარხილით) მიჰყავდათ, თან ახლდა ათი მხლებელი ხარკის ასაკრეფად. ყეენი მთელ სოფელს რომ ჩამოივლიდა და ხარკს აკრეფდა, მერე 40 — 60 კაცით მეზობელი სოფლისაკენ წავიდოდა. აქ, საზღვართან მეორე სოფლის ყეენს, რომელსაც ამდენივე მეომარი ახლდა, ომს გაუმართავდა, საღამოს მოკრეფილი ხარკით ქეიფი იმართებოდა, ხარკის ნაწილი ავადმყოფებს ან გაჭირვებულებს ეგზავნებოდათ. „ქიზიყი 1876 წ. პირველ დიდმარხვის ორშაბათს, რომელსაც აქაური მცხოვრებნი შავ ორშაბათს ეძახიან, თითქმის ყველა სოფელში იყო გამართული ყეენობა. ყეენობა ორ პარტიად იყო გაყოფილი, რადგანაც ყეენები იყვნენ ორი უბნიდან და ამ ორ უბანთაგანში ერთ-ერთს უნდა დარჩენოდა ბატონობა. მაგრამ ეს უბაასოდ არ გათავდებოდა. ერთმანეთში უნდა მოლაპარაკებულიყვნენ და ვისკენაც გამარჯვება დარჩებოდა, ბატონობაც იმას უნდა დარჩენოდა. ამიტომ ორივე უბნის ყეენები თავიანთი ლაშქრით (კრებით) შეეყრიდნენ ერთ მოედანზე და დაიწყეს ერთმანეთში მოციქულობა. თითოეულ ყეენს ჰყავდა თავისი თარჯიმანი. პირველი ყეენის თარჯიმანი გამოვიდა და უთხრა მეორეს:

— ჩვენი ყეენი ბრძანებს, რომ ვიჭიდნეთ მე და თქვენი ყეენიო და რომელმაც გაიმარჯვოს, ყეენობაც იმას დარჩეს. — ამ წინადადებაზე მეორე ყეენი არ დათანხმდა, მხოლოდ პასუხი კი მისცა ამნაირი: როდესაც ერთი ხელმწიფე მეორეს ეომება, მაშინ მხოლოდ ჯარი ომობს და არა ხელმწიფეებიო.

— მაშ, კარგი, — უთხრა პირველი ყეენის თარჯიმანმა, — ჩვენ ჩვენი პარტიიდან გამოვიყვანთ ერთ ფალავანს, დავჭიდნოთ ორივე და ვისმა ფალავანმაც გაიმარჯვოს, ყეენობაც იმას დარჩესო, — ამ მეორე წინადადებაზე დათანხმდა ორივე მხარე.

გამოიყვანეს ფალავნები, უყო ხალხმა ადგილი, ეძგერნენ ერთმანეთს ჩვენი ფალავნები, იმათი თავების რახარუხი და დაღლილობის ქშენა ხმასავით გამოდიოდა, ბოლო დროს დასძლია მეორე პარტიის ფალავანმა. შეიქმნა ერთი ყვირილი, ერთი ტაშის კვრა და გამარჯვებულ ფალავანს თავისი პარტია სულ ჰაერში ისვროდა და აქებდა. გამარჯვებულებმა გაიყვანეს წინ თავიანთი ყეენი და გასწიეს წყლისაკენ, უკან დაედევნა ბოღმით სავსე დამარცხებული პარტია, მრავალი ქალი, კაცი და მოხუცი. აქ გაიმართა საშინელი კრივი ორივე პარტიას შორის. კრივს მოჰყვა ჯოხის ცემა, ისე ირეოდა ხალხი როგორც ფუტკარი. თუ მამასახლისი არა, ბარე ორიოდე გაჭიმავდა ფეხებს საუკუნოდ. მეორე დღეს ისინი ლოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს, რომ კარგად დროება გაატარეს“ [1].

ყეენობა სიღნაღშიც იმართებოდა. საქობოსუბნელები ეჯიბრებოდნენ ციხისუბნელებს, წმინდა სტეფანის უბნელები — ბაღის უბნელებს, დაბახანის უბნელები — ყაზარმის უბნელებს და პაექრობის დასასრულს დამარცხებულ ყეენს „თავგატეხილას“ ან „ხაფხაფას“ წყარო-

---

[1] გაზ. „დროება“, 1876, № 29

ზე მიიყვანდნენ და წყლით გაწუწავდნენ. შემდეგ მოგროვილი „ხარკით“ ქეიფს გამართავდნენ.

გვახსოვს სიღნაღის ახლო მდებარე სოფელ საქობოში ქორწილის მეორე დღეს გამართული ყეენობა: აქ ყეენი კამეჩზე იჯდა (ქიზიყში ხომ განსაკუთრებით ბევრი კამეჩი იყო და ძველად კამბეჩოვანს ეძახდნენ). ეს დაახლოებით 1912 — 1913 წლებში იყო. ყეენი კამეჩით და ამალით მოაბრძანეს მექორწილეთა ეზოში, როგორც შემდგომ გავიგეთ, ეს ის გლეხები იყვნენ, რომელნიც რაღაც მიზეზის გამო ქორწილში არ ყოფილან და მოითხოვეს თავიანთი ულუფა. მათ სუფრა ეზოში გაუშალეს, გამოიყვანეს ნეფე-პატარძალი და გვიან ღამემდე გაგრძელდა ქეიფი და ცეკვა-თამაში.

ამ „ინსცენირებამ“ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით ყეენისა და მისი ამალის ოხუნჯობამ და იუმორმა.

ძველ ქართულ ხალხურ სანახაობათა შორის თავისი თეატრალობითა და მხატვრული ტრადიციებით ყურადღებას იპყრობს ხალხური იმპროვიზაციის — ნიღბების თეატრი „ბერიკაობა“.

ქიზიყში ცნობილია ბერიკაობის შემდეგი სახე: ნეფე-დედოფლის ნიღბებიანი მამაკაცები თხისრქებიანი მეოხუნჯის თანხლებით და საზანდრითურთ უბან-უბან დადიოდნენ, უკრავდნენ და ცეკვავდნენ. სოფლელები იკრიბებოდნენ, მათი თამაშით ერთობოდნენ და იცინოდნენ. თამაშის დამთავრებისას მეოთხე კაცი კალათით ხელში მივიდოდა სახლის პატრონთან და სთხოვდა გასამრჯელოს ასეთი ლექსით:

ალათასა-ბალათასა
ხელი ჩაყავ კალათასა,
ერთი კვერცხი შიგ ჩადევი
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

ეი, ბერიკაობის იმპროვიზაციის მეორე სახე, რომელსაც „მოკლული ტახის გაცოცხლება“ ეწოდება. მოქმედი პირები: გლეხი, ტახი, მეველეები, მოსამართლე, მეზარენი, მღვდელი და დიაკვანი.

„გლეხმა ყანა მოიყვანა. ტახი ყანას გარს უვლის, გლეხი ემუქრება. მან ღამით ხარს სხვისი ყანა მოაძოვა, მეველეებმა დაიჭირეს.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (გ ლ ე ხ ს). რად მოაძოვე ყანა?

გ ლ ე ხ ი. არაფერი შენი ჭირიმე, თითის სიგრძე მოძოვეს და ადლზე მეტი იქ დარჩა (ესე იგი, თავთავები მოძოვეს და ნამჯა დარჩაო).

ბერიკას შეატყობინებენ, შენი ყანა ღორს წაუხდენიაო. გაბრაზებული ბერიკა ჩაუსაფრდება ტახს და როცა ყანაში შევა, მოკლავს, მივა რომ გადაათრიოს, ტახს ტყავი გადაძვრება. თურმე ტახის ტყავში გახვეული მეზობელი მოუკლავს. იმართება ტირილი. მოიყვანენ მღვდელს და გაასვენებენ. გზაში მღვდელს და დიაკვანს ჩხუბი მოუვათ ტაბლაზე. ამ ჩხუბის დროს მკვდარი გაცოცხლდება. თქვენმა საქციელმა მკვდარი გამაცოცხლა ღორი მე ვიყავი და თქვენ მსუნაგობთო?!“[1]

ბერიკებს, საჩუქრების გამოტანის დასაჩქარებლად,

---

[1] იოსებ მჭედლიშვილის ჩანაწერებიდან. საქართველოს თეატრალური მუზეუმის ხელნაწერი, ფონდი № 38

სასიმღერო რეპერტუარში შესაბამისი სიტყვებიც ჰქონდათ. მაგალითად:

ანაგა და ბოდბისხევი
სერი-სერ მოკიდებული,
დედი, შალე გამოგვიტა,
ვირი ვვყავს აკიდებული.

მეფე ერეკლეს სასახლის კარის ბერიკა ოიანა-ბუიანა ბოდბისხევიდან (სიღნაღის რაიონი) ყოფილა. ერთხელ მის წარმოდგენას თვით მეფე ერეკლე დასწრებია, დიდად მოსწონებია და უკითხავს:

— ვინა ხარო!

ბერიკამ უპასუხა.

— ისა ვარო!

მეფემ კიდევ ჰკითხა:

— ვინა ხარო?

— ახლა ესა ვარო!

მეფემ მესამედ ჰკითხა: ვინა ხარო? იმან კიდევ უპასუხა: ისიცა ვარ, ესეც ვარო! ამაზე ერეკლემ ოიანა-ბუიანა შეარქვა მეტსახელად და თბილისში წაიყვანა. აქ, როგორც ირკვევა, ბენიასაც ეძახდნენ. ბენიას (ოიანა-ბუიანას) საოხუნჯო, ანუ საკომედიო დარბაზი ჰქონია მიჩენილი მეფის სასახლეში და იქ მართავდა თავის წარმოდგენებს. თავის გამოსვლებში იგი ჰკიცხავდა თავად-აზნაურობას და მოურიდებლად ამხელდა მათ. მაგალითად, ბენია ყალიონს ეწევა, დაახველებს, ხველების შემდეგ დიდებულებს მიმართავს: „დაიჭით ხველა, თქვე ასეთ-ისეთებო, თორემ მე თქვენი უსამართ-

ლობა ვიცი, ყველას მეფესთან დაგაბეზღებთ და თავებს დაგაჭრით“.

მეფემ სახელგანთქმულ ბერიკას სხვა ჯილდოებთან ერთად ერთი წყალობაც უბოძა. სადილად მას დაევალა მეფისათვის ფლავის მირთმევა.

— ვის მივართვა კიდევ ფლავი, ბატონო?

— ჩემს ერთგულს მიართვი! — მეფემ ბარათაშვილზე მიუთითა.

ბენია ბარათაშვილისაკენ გაემართა და უცებ ფლავი ძაღლს დაუდგა. ერთგულს მიართვიო და მეც თქვენს ერთგულს დავუდგიო, მიუგო ბენიამ. მალე ბენიას დიდებულები აუმხედრდნენ. მეფემ სასახლიდან გააძევა იგი.

ოიანა-ბუიანა (ბენია) თავისი ქვეყნის ერთგული ყოფილა და სამშობლოსათვის გმირულად იბრძოდა. ხალხური გადმოცემით, სპარსელებთან ომში — ვაშლოვანელ თამროს, წყნეთელ მაიასა და წავკისელ თინას გვერდით ბოდბისხეველი ბენიაც იბრძოდა და სპარსელებს ტყვედ ჩაუვარდა, მაგრამ ერეკლემ მალე გამოიხსნა იგი.

იოსებ მჭედლიშვილი, რომელმაც ხალხური წყაროები შეკრიბა ოიანა-ბუიანას შესახებ, თვითონაც სიღნაღის მაზრიდან — გარეკახელი იყო. ძველად სცენაზეც თამაშობდა. იგი იმდენად მოიხიბლა ამ ქიზიყელი ბერიკას მოღვაწეობით, რომ დაწერა პიესა „ოიანა-ბუიანა“[1],

---

[1] პიესა „ოიანა-ბუიანა“ დაცულია საქართველოს თეატრალური მუზეუმის ბიბლიოთეკაში

რომელიც სახალხო არტისტ დოდო ანთაძეს უნდა დაედგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ამ მიზნით იყო ბოდბისხევშიც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით პიესა არ დაიდგა. მხოლოდ სიღნაღის თეატრში ამეტყველდა „ოიანა-ბუიანა“ 1935-36 წლის სეზონში, რომელიც ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გრიგოლ ლაღიძემ დადგა.

ოიანა-ბუიანას მოღვაწეობას ვრცლად იმიტომ შევეხეთ, რომ იგი პირველი ქიზიყელი თვითმყოფი მსახიობი იყო, რომელმაც თავისი ნიჭით და მახვილგონიერებით სახელი გაითქვა და მეფის სასახლემდე მიაღწია როგორც ხალხური თეატრის მსახიობმა.

ძველად, ერთგვარ გასართობს საეკლესიო დღესასწაულებიც წარმოადგენდა. პატარა სიღნაღში ოთხი ეკლესია იყო, გარდა ამისა, მის გარეუბან ქედელში მდებარეობდა წმ. ნინოს მონასტერი, ხოლო ქალაქის სასაფლაოზე წმ. გიორგის ეკლესია. ამ ეკლესიების ყოველ დღესასწაულზე აუარებელი ხალხი იყრიდა თავს, ქეიფობდნენ, ჭიდაობდნენ და ცეკვა-თამაშით თავს ირთობდნენ. სოფლად უფრო მასობრივი ხასიათი ჰქონდა საეკლესიო დღეობებს.

სიღნაღელებისათვის საინტერესო გასართობი იყო აგრეთვე „ამქრის დღეობები“. ბაზაზები, დერიკეები, სირაჯები, დაბაღები და სხვა ხელოსნები აქ ბევრნი იყვნენ. ისინი გაერთიანებულნი იყვნენ ამქრებად. თითოეულ ამქარს თავისი დროშა ჰქონდა და უსტაბაში (თავმჯდომარე) ჰყავდა. ყოველწლიურად თითო ამქარს ერთი დღე დღესასწაულად ჰქონდა გამოცხადებული. ამ დღეს ამქ-

რები დილიდანვე იკრიბებოდნენ ქალაქგარეთ რომელიმე ბაღში, ცხვარს კლავდნენ და ზურნით ან საზანდრით ქეიფობდნენ საღამომდე. შებინდებისას ნაქეიფარნი ქალაქში ბრუნდებოდნენ: წინ ამქრის დროშა მოჰქონდათ, მას მოსდევდნენ დამკვრელები, შემდეგ ზეიმის დანარჩენი მონაწილენი. მოსახლეობა (განსაკუთრებით ახალგაზრდობა) აედევნებოდა მათ. მთავარ მოედანზე გაიმართებოდა მასობრივი ცეკვა-თამაში, რომელშიც მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. ამგვარად ეს შეჯლისი გვიან ღამით მთავრდებოდა. არავითარ უწესრიგობას ადგილი არ ჰქონდა. ყველას დარბაისლურად ეჭირა თავი.

დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ სიღნაღში მეზობელ დაღესტნიდან ან ზაქათალიდან ჩამოსული „ჯამბაზები". ასე უწოდებდნენ სიღნაღელები თოკზე მოსიარულეებს, რომლებიც ზაფხულობით ქალაქის ქვემო მოედანზე ჩაყრიდნენ მაღალ ბოძებს, თოკს გაჭიმავდნენ და კვირაობით დიდი სახალხო სანახაობა იმართებოდა, რაც დიდძალ მაყურებელს იზიდავდა. დიასახლისებიც კი მოდიოდნენ ბავშვებით. როცა მოედანი ხალხით გაივსებოდა, ზურნის აკომპანემენტით, საწონასწორო კეტით ხელში მაღლა აირბენდა წითელფესიანი, ლეკურად გამოწყობილი ახალგაზრდა. იგი ცეკვავდა, ასრულებდა სხვადასხვა ილეთს, ხან დაირას უკრავდა, ხან თოკზე სკამს დაიდგამდა, ზედ ჩამოჯდებოდა და ყალიონს აბოლებდა. ხან რომელიმე გაბედულ ბიჭუნას აიყვანდა ხელში და გაატარ-გამოატარებდა. ზოგი სახლის აივნებიდან, ზოგი ფანჯრებიდან, ზოგი კი სახურა-

ვებიდან უყურებდა ამ სანახაობას. შუა თამაშობაში აპეციალურად გამოწყობილი პირები ხალხში სანახაობის საფასურს კრეფდნენ.

სიღნაღში საქალაქო ან სამაზრო კრივი-ჭიდაობა იმართებოდა ძველი ციხის გალავნის შიგნით, ქალაქის სასაფლაოს ზედა მინდორზე, ან იქვე მახლობლად მდებარე გამრეკელის ბაღში, რომელიც ამ დროისათვის საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო.

* * *

თეატრალურ ხელოვნებას ქიზიყში და, კერძოდ, სიღნაღში დიდი ხნის ისტორია აქვს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები ქალაქ სიღნაღში და მის მაზრაში ხალხის ერთადერთი სულიერი საზრდო იყო.

გარდა იმისა, რომ წარმოდგენა-საღამოები მოსახლეობის გათვითცნობიერების, მისი ცოდნის, კულტურის ამაღლების საქმეს ემსახურებოდა, ამავე დროს, დიდ საქველმოქმედო მიზნებსაც ისახავდა. შემოსავალი სკოლების გახსნას, ღარიბ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, კულტურულ ღონისძიებებს და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობას ხმარდებოდა.

ცნობილია, რომ გიორგი ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ, 1856 წლიდან თბილისში ქართულ

წარმოდგენებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ სცენისმოყვარეთა წარმოდგენები იმართებოდა დროგამოშვებით.

1879 წელს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა აღადგინეს ქართული პროფესიული თეატრი ჯერ თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში, რამაც დადებითი გავლენა იქონია პროვინციაზეც, სადაც სცენისმოყვარეთა წრეები არსებობდა. ჯერ კიდევ პროფესიული თეატრის აღდგენამდე, წარმოდგენები სიღნაღშიც იმართებოდა. მათი ინიციატორები იყვნენ იმდროინდელი ახალგაზრდა სიღნაღელები, რომლებიც თბილისში, ან რუსეთის ქალაქებში სწავლობდნენ. ზაფხულობით, როდესაც არდადეგების დროს სიღნაღში ჩამოდიოდნენ, მათ ერთგვარი სიახლე შეჰქონდათ ქალაქის ცხოვრებაში. დიდი ქალაქების წაბაძვით მართავდნენ საღამო-წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით, ან ახლობლების გასართობად.

თბილისის სემინარიაში მოსწავლე სიღნაღელმა ახალგაზრდობამ პირველი ასეთი წარმოდგენა 1872 წლის აგვისტოში გამართა სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში. „დროება“ წერს: „წარმოიდგინეთ სიღნაღში, — გამოჩინებულში თავისი მცხოვრებლების კეთილზნეობით, თავის სამოცი და მეტის პროცენტით, თავის ოღრო-ჩოღრო კისერსამტვრევის ქუჩებით, ასე, რომ თუ სადმე წასვლა გინდათ წინდაწინვე უნდა ეზიაროთ, ამ სიღნაღში ქართული წარმოდგენები იყო და პუბლიკამ ეს როგორც სჩანს ჭეშმარიტის სიამოვნებით მიიღო. ასე რომ ჯერეთ ორი წარმოდგენა ყოფილა და

ორსაც აპირებენ. ამ შემთხვევამ სიღნაღელები როგორ-ღაც გამოაღვიძა. საითაც გაიხედავ რაღაც მოძრაობა, სიცოცხლე სჩანს. თეატრზე ლაპარაკს — ვინ კარგად ითამაშა, ვინ ცუდად, ვინ შეიძლება შეედაროს პიესაში გამოყვანილ პირს, ვინ არის იმათში ივანე, პავლე, მიკირტუმ გასპარიჩი, ამეებზე ლაპარაკს ბოლო არა აქვს. ერთის სიტყვით, სიღნაღის ფიზიონომია გარეგანის შეხედვით მტრისათვინაც კი სასიამოვნო დასანახია; პირველი წარმოდგენა იყო 19 აგვისტოს, მეორე 24-ს. პირველად წარმოადგინეს „ძუნწი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, მეორედ „გაყრა“ და პირველი მოქმედება „კატა აწონასი“. ერთ-ორ მოქმედ პირს გარდა, რომელიც სიღნაღს მიეტევება, თითქმის ყველა აქტიორებმა კარგად ითამაშეს და საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა. „გაყრაში“ გარდა ივანესა და ანდუყაფარისა ითამაშეს ძალიან კარგად“ [1].

ამრიგად, ქართული პროფესიული თეატრის დამაარსებლის გიორგი ერისთავის პიესებით დაიწყო სიღნაღში თეატრალური საქმიანობა.

ინტერესმოკლებული არ არის „დროების“ 1872 წლის 46-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი, რომელსაც ვინმე „მგზავრი“ აწერს ხელს:

„...წრეულ სექტემბერში საქართველოს ეგზარხოსი ბრძანებულა აქეთ მხარეს. ერთს ბლაღოჩინს, როგორც ამბობდნენ, მოუხსენებია იმისათვის, რომ სიღნაღში, კანიკულების დროს სემინარიის შაგირდებმა ქართული

[1] გაზ. „დროება“, 1872, № 35

წარმოდგენა გამართესო. საქართველოს ეგზარხოსი ძალიან გაჯავრებია იმისათვის შაგირდებს და იმათ მამებს. ამ ფაქტში შესანიშნავი არაფერია, მაგრამ თუ გინდათ რომ გაიცნოთ სიღნაღელები, ყური უგდეთ როგორ სჯიდნენ იმაზედ:

— იმ დალოცვილმა ბლაღოჩინმა იმაზედ კარგი ამბავი ვერ იპოვნა რა, რომ ესიამოვნებინა ეგზარხოსისათვის?

— არა, — უპასუხებს მეორე, — იმას სხვა მუცლის ტკივილი ჰქონდა, იმას უნდოდა ვისიმე ჯავრი ამოეყარა.

— ჯავრი კი არა, — ამბობს მესამე, — სახარებაში სწერია, რომ ვინც ტიატრს წარმოადგენს, ის არ ცხონდებაო. ბლაღოჩინს გული შესტკიოდა ამ შემთხვევის გამო და მოახსენა არქიელს“.

1875 წლის „დროებაში“ (№ 89) ვკითხულობთ „სიღნაღელის“ კორესპონდენციას სათაურით „ჩვენს სიღნაღსაც ეღირსა ერთი მუსიკალური და ლიტერატურული საღამო“. იგი იტყობინება, რომ „სიღნაღის ბულვარზე ე. ი. ბანკის ბინაზე დაატარებდნენ რუსულად დაწერილ აფიშას, რომელიც გვამცნობდა, რომ 3 აგვისტოს იქნება ლიტერატურული საღამო, რომელიც დაიწყო გალობით. თამარა ანდრონიკაშვილმა კარგად და ჩინებულად წაიკითხა „ჩემი მერანი“. იოსებ და ნინო ანდრონიკაშვილის შვილებმა დაუკრეს ფორტეპიანოზე და სკრიპკაზე. შემდეგ შ. ნაცვლიშვილმა წაიკითხა „ქალი რომელი თვეა“ და სხვა. ბილეთები წინასწარ ყოფილა გაყიდული. შემოსავალი აქაურ ეკლესიას გადაეცა“...

ჟურნალ „თეატრის“ 1889 წლის მე-2 ნომრის ახალ ამბებში ვკითხულობთ: „სიღნაღიდან გვწერენ, რომ

გრან დამა უქეიფოდ შეიქმნა, რომ წარმოდგენა დიდი ხნით გადაიდებაო. ყველანი დიდად სწუხან".

ეს მოწმობს, რომ იმხანად სიღნაღში წარმოდგენები იმართებოდა და სცენის ენთუზიასტებიც იყვნენ, მაგრამ ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ შემორჩენილა. მხოლოდ პრესაში დროდადრო მოთავსებული წერილები და სახელმწიფო არქივში დაცული ორიოდე საბუთი იძლევა მცირე მასალას.

1890 წლის 31 აგვისტოს ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო შემდეგი წერილი:

„...პატივცემულო გამგეობავ!

სიღნაღის სცენის მოყვარეთაგან იყო გამართული წარმოდგენა „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ. ხარჯების გარდა დარჩა 85 მან. 15 კაპ., რომელსაც გიგზავნით.

ნინო ანდრონიკოვისა

27 აგვისტო"[1]

ვინ იყო ნინო ანდრონიკოვისა? საკმაოდ განათლებული და კულტურული ადამიანი. ანდრონიკაშვილების ოჯახი სოფელ ნუკრიანში ცხოვრობდა. თავისი გვარიშვილობის მიუხედავად, ის არ დაიზარებდა ხოლმე ორისამი კილომეტრი ფეხით გაევლო, სიღნაღში ჩასულიყო და აქტიური მონაწილეობა მიეღო საქველმოქმედო

[1] საქათველოს ცენტრ. არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე 259

ღონისძიებაში. მოკლედ გავეცნოთ მის საქმიანობას რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1917 წელს დებმა ნინო და ელენე ანდრონიკაშვილებმა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სიღნაღის განყოფილებას უსასყიდლოდ გადასცეს სოფელ ნუკრიანში დიდი მამული, რათა იქ სკოლა აეშენებინათ. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ვერ აითვისა იგი და სკოლა არ აშენებულა[1].

ანდრონიკაშვილები სისტემატურად ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს და ამეცადინებდნენ, ვისაც სწავლა უჭირდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, როცა საკლუბო და სათეატრო საქმიანობას სიღნაღში გასაქანი მიეცა, ღრმა მოხუცებული ნინო ანდრონიკაშვილი ნუკრიანიდან ფეხით ჩადიოდა ხოლმე სიღნაღში, ესტუმრებოდა ბიძაშვილის ცოლს, ცნობილ მსახიობს მაკა ანდრონიკაშვილს, ესწრებოდა წარმოდგენას და ხარობდა თეატრის წინსვლით. ვინაიდან მას სიბერის ჟამს ყურს დააკლდა, სპექტაკლს დარბაზიდან კი არ უყურებდა, კულისებში ტრიალებდა, მსახიობებს გრიმს და ტანსაცმელს უსწორებდა და უყვებოდა, თუ რა დიდი წვალებით უხდებოდა მას საქველმოქმედო წარმოდგენების გამართვა და სცენისმოყვარეთა შეკრება. თუ ვინმე არ გამოცხადდებოდა წარმოდგენის საღამოს, მის მაგივრად თვით ნინო გამოდიოდა.

---

[1] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფონდი 481, საქმე 400.

მართალია, კახეთში 1914 წლამდე რკინიგზა არ იყო, რაც აძნელებდა მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხშირ სტუმრობას კახეთში, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ხალხის ლტოლვა კულტურის, კერძოდ, თეატრისადმი, რომ ადგილობრივი დასი ცდილობდა შეძლებისდაგვარად თეატრალური ხელოვნება აემაღლებინა.

დასავლეთ საქართველოსა და ქართლისაგან (გორის მაზრის) განსხვავებით, სადაც თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ადვილი გახდა მგზავრობა, კახეთისაკენ დილიჟანით გამგზავრება ძვირი ჯდებოდა და თეატრალური დასები და მსახიობთა ჯგუფები თავს არიდებდნენ, რადგან წარმოდგენის შემოსავალი ტრანსპორტის ხარჯებს და სასტუმროს ქირას ძლივს ანაზღაურებდა. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, ქართული თეატრის კორიფეები მაინც გამონახავდნენ ხოლმე დროს და საშუალებას, რათა კახეთსაც სტუმრებოდნენ და თავიანთი ხელოვნება ეჩვენებინათ.

როცა ქართულ სცენას 24 წლის სცენის ჯადოქარი ლადო მესხიშვილი მოევლინა, თბილისში წარმატებით გამოსვლის შემდეგ მან 1881 წლის 12 ივლისს მომღერალ ფ. ქორიძესთან ერთად სიღნაღში დიდი კონცერტი გამართა [1].

მანამდე, 1880 წლის 18 ნოემბერს სიღნაღის სცენისმოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს. დადგეს ადგილობრივი მღვდლის ტერეღიშას პიესა „კაპიშონი“[2].

---

[1] გაზ. „დროება“, 1881, № 131

[2] გაზ. „დროება“, 1880, № 48

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება შევეხოთ მეცხრამეტე საუკუნის პირველი სიღნაღელი დრამატურგის ტერეღიშ ასტვაცატუროვის მოღვაწეობას, რომელიც გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი იყო, ხშირად საინტერესო ფელეტონებს ბეჭდავდა და სომხურიდან თარგმნიდა.

1880 წლიდან სიღნაღის სცენისმოყვარენი „კაპიშონს“ ხშირად დგამდნენ როგორც ორმოქმედებიან სატირას და პრესაში გამოცხადებულ წარმოდგენებში ერთ-ერთი უთუოდ „კაპიშონი“ იქნებოდა[1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღელი მლოცველები ძალზე უნდობლად იყვნენ განწყობილნი მღვდელ ტერეღიშასადმი და არ სწამდათ მისი ღვთისმსახურება, რადგან ის კალმოსნობდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დემოკრატობდა კიდეც.

1882 წელს სიღნაღში გაიმართა ორი წარმოდგენა. 31 დეკემბერს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა დადგეს ზ. ანტონოვის ერთმოქმედებიანი კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ და მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“. ხოლო დეკემბერში საქველმოქმედო წარმოდგენა გამართეს ოდესის ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად.

1883 წელსაც ორი წარმოდგენაა გამართული (16 სექტემბერს და 5 ოქტომბერს). 1884 წელს კი უკვე ოთხი წარმოდგენა დაუდგამთ: 14 აპრილს რაფიელ

---

[1] პიესა „კაპიშონი“ დაცულია ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში და თეატრალური მუზეუმის ბიბლიოთეკაში

ერისთავის კომედია „ადვოკატები“ სამ მოქმედებად. აქ უკვე მონაწილეთა გვარებიც არის ცნობილი: მ. ანდრონიკაშვილი, ი. ქიტიაშვილი, ი. ნაცვლიშვილი, ნ. ცისკარიშვილი, ს. ჩახნაშვილი და სხვანი. წარმოდგენა ქალაქის კეთილშობილთა კლუბში გამართულა და საზოგადოება კმაყოფილი დარჩენილა. 26 აპრილს იგივე სპექტაკლი გაუმეორებიათ. 20 ივლისსაც გამართულა წარმოდგენა, მაგრამ რა პიესა დაუდგამთ, უცნობია [1].

11 დეკემბერს კი წარმოუდგენიათ რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული „ბიძიასთან გამოხუმრება“, ვასო აბაშიძის „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ და გ. ერისთავის „დავის“ ერთი მოქმედება [2].

„...უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღი ძალიან დიდი ქალაქი არ არის, მხოლოდ 8.000 მოსახლეა, მაგრამ ეხლა მას ორი კლუბი აქვს“, — წერდა „დროება“. რადგან ძველ კლუბში ლოტოსა და კარტის თამაში ხშირად ჩხუბით მთავრდებოდა, მთავრობამ ნება დართო გაეხსნათ ახალი კლუბი. „მაგრამ ვინაიდან ორივეს მცირე შემოსავალი აქვთ, საჭიროა ჩინოვნიკებისა და სამოქალაქო კლუბები შეერთდნენ“ [3].

ასეც მოხდა. 1887 წელს ორივე კლუბი შეერთდა ერთ „საზოგადო საკრებულოდ“, რომელსაც 1921 წლამდე ასევე ეწოდებოდა. საზოგადო საკრებულოს საქმიანობა კარგად წარიმართა მხოლოდ 1899 წლიდან,

---

[1] გაზ. „დროება“, 1884, № 90
[2] გაზ. „დროება“, 1884, № 27
[3] გაზ. „დროება“, 1884, № 35

როცა სიღნაღში ქალაქის თვითმმართველობა შემოიღეს და დეპუტატები აირჩიეს.

1887 წლიდან სიღნაღში მგალობელთა გუნდი ჩამოყალიბდა ალექსანდრე ჩახანაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც გალობდა როგორც ეკლესიაში, ისე საზოგადო საკრებულოში.

1887 წელს სიღნაღელი კორესპონდენტი „კახელის" ფსევდონიმით „ივერიაში" (№ 19) წერდა, რომ სამოქალაქო სასწავლებელში „საახალწლო მიგებებამ (შეხვედრამ) და 4 იანვარს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სასარგებლოდ გამართულმა წარმოდგენამ დაადასტურა, რომ ჩვენშიც „შეიძლება რაიმე წამალი დაედოს უზრუნველობას, მხოლოდ საჭიროა იყოს ისეთი მადლიანი ვინმე, რომელმაც მეთაურობა იკისროს ამ საქმეში".

იგივე „კახელი" იტყობინებოდა, რომ 12 აგვისტოს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა, რომელიც კარგად ჩატარდა.

სამოქალაქო სასწავლებელს საკმაოდ დიდი დარბაზი გააჩნდა, სადაც პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა და საახალწლო შეხვედრები და სხვადასხვა დანიშნულების საღამოები იმართებოდა.

1888 წლის 22 დეკემბერს გაბრიელ სუნდუკიანის მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად სიღნაღის სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს „პეპო", ამასთან პირველი და ბოლო მოქმედებები სომხურად, ხოლო მეორე მოქმედება — ქართულად.

სცენისმოყვარეთა ძალები და კარგი მაყურებელი საკმაოდ ყოფილან, მაგრამ როგორც „კახელი“ წერს: „ჩვენშიც შეიძლება წამალი დაედოს უზრუნველობას, საჭიროა მხოლოდ მადლიანი ვინმე“, ესე იგი, ხელმძღვანელი, ამ საქმის მეთაურიო. რა თქმა უნდა, ხელისუფალნი არათუ პროვინციის, თვით თბილისის ქართული თეატრისათვისაც არ ზრუნავდნენ და მხოლოდ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის ზრუნვისა და ინიციატივის შედეგად ვითარდებოდა ქართული თეატრი.

ასეთი განათლებული და ქველმოქმედი ადამიანები სიღნაღშიც იყვნენ. ამიტომ ყოველი ახალი წამოწყება ქალაქის ინტელიგენციის მხარდაჭერით სარგებლობდა და სიღნაღი თანდათან თეატრალური ტრადიციის ქალაქი ხდებოდა.

ნინო ანდრონიკაშვილისა და სხვათა შემდეგ, ცნობილი თეატრალური ოჯახიდან სიღნაღს მოევლინა საკმაოდ განათლებული და ქველმოქმედი ადამიანი, ლადო მესხიშვილის ახლობელი ოლღა ალექსი-მესხიშვილისა, რომლის თაოსნობით და ხელმძღვანელობით სიღნაღში რამდენიმე საღამო-წარმოდგენა გაიმართა.

1889 წლის „ივერიაში“ (№ 91) ვკითხულობთ: „ქ-ნ ოლგა ალექსი-მესხიშვილისა და კნ. ნინა ანდრონიკაშვილისაგან, რომლებმაც სიღნაღში გამართეს ბალი და წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ, ჩვენ მივიღეთ 263 მანეთი და 37 კაპიკი საზოგადოებისათვის გადასაცემად და შემდეგი წერილი გაზეთში გამოსაქვეყნებლად...“ ამ ვრცელ

წერილში ისინი მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც ფულადად დაეხმარა, ანდა პირადი დასწრებით მიიღო მონაწილეობა მეჯლისსა და წარმოდგენაში.

აღნიშნული „მეჯლისი“ და წარმოდგენა 1889 წლის 2 მაისს გაიმართა. 3 დეკემბერს ოლგა ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით კეთილშობილთა კლუბში (საზოგადო საკრებულოში) დაიდგა ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, რისთვისაც სიღნაღელი კორესპონდენტი ქალაქის მოსახლეობის სახელით, „ივერიის“ საშუალებით, მადლობას უცხადებს ქ-ნ მესხიშვილსა და ადგილობრივ სცენისმოყვარეებს და მოუწოდებს, რომ ხშირად გამართონ წარმოდგენები და ყოველწლიურად მოაწყონ საახალწლო შეხვედრები.

1890 წლის ზაფხულში ნინო ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ. 1891 წელს სიღნაღის სცენისმოყვარეებმა გურჯაანის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ დადგეს ა. ცაგარლის „მათიკო“, ხოლო 1893 წლის 22 აგვისტოს გამართეს დიდი კონცერტი.

საქველმოქმედო წარმოდგენების გამართვა გრძელდებოდა.

1894 წლის 3 ივლისს ნინო ანდრონიკაშვილის თაოსნობით სიღნაღის სცენისმოყვარეებმა სოფ. ნუკრიანის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ დადგეს ვ. გუნიას „მონადირე“ და „ხორველობა“. საღამოს დასასრულს შეასრულეს ქართული სიმღერები.

სიღნაღის სცენას ამ პერიოდში ამშვენებდნენ თვალ-

საჩინო საზოგადო მოღვაწეები: ივანე ქიტიაშვილი, მათე ახმეტელაშვილი, კოტე ტყავაძე, შოშიაშვილი, ჯალიაშვილი, ხელაშვილი, ელენე ანდრონიკაშვილი, თამარ რუსიშვილი, სიკო შავლიაშვილი. ეს სამი უკანასკნელი შემდგომში სიღნაღის თეატრალური დასის წამყვანი სცენისმოყვარენი გახდნენ.

იმავე წლის აგვისტოში სიღნაღს ეწვია ცნობილი მსახიობი კოტე მესხი და მომღერალი მარიან ძნელაძე. 16 აგვისტოს საზოგადო საკრებულოში მათ კონცერტი გამართეს. მ. ძნელაძემ იმღერა იტალიური სიმღერები, ხოლო კ. მესხმა წაიკითხა მონოლოგები და სცენები სხვადასხვა კლასიკური პიესიდან. აღტაცებული ვაშას ძახილით შეხვდა მათ მაყურებელი. მეორე დღეს ისინი თელავს გაემგზავრნენ. „ივერია“ წერდა: „იმედია კვლავ ესტუმრებიან სიღნაღს და დაგვატკბობენ თავიანთი ხელოვნებით“.

„ივერიის“ მომდევნო ნომერში ვკითხულობთ, რომ ამ კონცერტის მსვლელობის დროს მოხდა საინტერესო ამბავი. ზოგიერთ სიღნაღელს ბილეთი არ შეუძენია და ქალაქის მოედანზე მოსულა კლუბთან, რათა გარედან მოესმინა კონცერტისათვის. მალე მსმენელი ისე მოხიბლულა, რომ დამსწრე მაყურებელთან ერთად ვაშას ძახილითა და ხმაურით გამოხატავდა თავის აღტაცებას. როცა პირველი განყოფილება დამთავრებულა, კოტე მესხს უთქვამს კლუბის გამგეობისათვის: „სთხოვეთ იმ ხალხს ამოვიდნენ, და დარბაზიდან მოგვისმინონ უბილეთოდ“. ასეც მომხდარა. მეორე განყოფილება მაყურებლებით სავსე დარბაზში ჩატარებულა,

შემოსავალი კი მხოლოდ 12 მანეთი ყოფილა. კიდევ კარგი, რომ კლუბის გამგეობას შენობის ქირა არ გამოურთმევია მსახიობებისათვის, თორემ შემოსავალი ხარჯებსაც ვერ დაფარავდა.

1895 წლის ზაფხულში, საქველმოქმედო მიზნით, გაიმართა ორი წარმოდგენა. დადგეს ვ. გუნიას „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“ და ნ. ყიფიანის მიერ ვადმოკეთებული „აჩირებული“. 21 აგვისტოს გაიმართა ქართული და რუსული წარმოდგენა. ქართულად დადგეს ა. ცაგარლის „ბაიყუში“ და ვ. გუნიას „ხორველობა“.

1896 წელსაც ორი წარმოდგენა გაიმართა. 1 თებერვალს ადგილობრივი სამრევლო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად დადგეს ბ. ერიციანის „შემცდარი ანგარიში“, ხოლო 1 დეკემბერს — ვ. გუნიას „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“.

1899 წლის 29 ივლისს თელავიდან გამოვლით ნატო გაბუნია-ცაგარელის, ვასო აბაშიძისა და მელქო აჯიმამუდოვის მონაწილეობით და ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ძალებით დაიდგა ზურაბ ანტონოვის კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“ და რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

1900 წლის 20 იანვარს მსახიობების დავით აწყურელის და მ. აჯიმამუდოვის მონაწილეობით დაიდგა დ. აწყურელის „ორი მშიერი“ და ი. მაჩაბლის მიერ ფრანგულიდან გადმოქართულებული „ადვოკატი მელაძე“. იმავე წლის 9 იანვარს ვიქტორ გამყრელიძის, დავით აწყურელის და მ. აჯიმამუდოვის მონაწილეობით

დაიდგა ნატალია აზიანის „ფული და ხარისხი“. ეს სამი წარმოდგენა თელაველი მსახიობის მ. აჯიმამუდოვის თაოსნობით და მონაწილეობით ჩატარდა.

თელავის თეატრალური ტრადიციები ჯერ კიდევ ერეკლე მეორის სასახლის კარის თეატრიდან მომდინარეობს. თელავში ბევრი თვალსაჩინო მსახიობი აღიზარდა, მათ შორის ცნობილი თეატრალური მოღვაწე და დრამატურგი ბეგლარ ახოსპირელი, ლადო მესხიშვილის მშობლებიც თელავის მაზრიდან იყვნენ. იქ გარდაიცვალნენ და შუამთის მონასტერში არიან დაკრძალული. თელავის მაზრის სოფელ აწყურიდან იყვნენ ძმები ვიქტორ გამყრელიძე და დავით აწყურელი. დავითმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები თელავში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1928 წელს. იგი პიესებსაც წერდა. მისი „ორი მშიერი“, „დასჯილი“, „გაუგებრობა“ და სხვა ყველგან იდგმებოდა.

თელავისა და სიღნაღის თეატრებს შორის იმთავითვე კარგი ურთიერთობა არსებობდა. ორივე თეატრის მსახიობებს ხშირად მიუღიათ მონაწილეობა საერთო წარმოდგენებში. ჯერ კიდევ 1888 წელს თელავის სცენისმოყვარეებმა ქალაქის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ დადგეს ტერეღიშას „კაპიშონი“, ბ. ახოსპირელის „გეურქ აღა და შანტაჟისტები“, დ. აწყურელის „ორი მშიერი“ და „დასჯილი“ კი სიღნაღში იდგმებოდა.

თელავისა და სიღნაღის თეატრების შემოქმედებითი ურთიერთობა განსაკუთრებით განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენები სოფლადაც

იმართებოდა. საქართველოს თეატრალური მუზეუმის ფონდებში შეგვხვდა მასწავლებელ ივანე გომელაურის მოგონება სათაურით „ქვემო მაჩხაანში თეატრალური მუშაობის დასაწყისი“. იგი წერს: „მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში ქვემო მაჩხაანში ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო წარმოდგენები და დიდი იყო ხალხის ინტერესი წარმოდგენისადმი“.

თვით გომელაური იმ დროს ოზურგეთში (ამჟამად ქ. მახარაძე) მასწავლებლობდა და მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი თეატრის წარმოდგენებში, ხოლო ზაფხულობით, როცა არდადეგების დროს სოფელში ჩადიოდა, თამაშობდა ქვემო მაჩხაანში გამართულ წარმოდგენებში. მისი გვარი გვხვდება მახარაძის თეატრის მსახიობთა სიაში[1], აგრეთვე მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან სიღნაღის თეატრის მსახიობთა შორის, კერძოდ, ელისაბედ ჩერქეზიშვილის საიუბილეო საღამოში მონაწილეთა შორის, როგორც როლების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი.

ქვემო მაჩხაანში თეატრალური საქმიანობის პოპულარიზაციას ხელს უწყობდნენ სოფლის მოწინავე ადამიანები, ცნობილი ხალხოსანი პოეტის დიმიტრი მაჩხანელის მეთაურობით, რომელმაც სოფელში დრამწრე ჩამოაყალიბა და საქველმოქმედო მიზნით სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს.

საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ქეთევან ხაჩიაშვილი გადმოგვცემს: „წარ-

---

[1] საიუბილეო გამოცემა, „მახარაძის თეატრი“, 1968

მოდგენების შემოსავალს და აგრეთვე საკუთარი ვენახის შემოსავალსაც მაჩხანელი ახმარდა მის მიერ სოფელში მოწყობილ საავადმყოფოს და ადგილობრივ სკოლას“.

დიმიტრი მაჩხანელი (ნადირაძე) დაიბადა 1861 წელს ქვემო მაჩხაანში. სწავლობდა ჯერ თუქურმიშის (ამჟამად წითელწყარო) დაწყებით სკოლაში, შემდეგ კი სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა. მალე ძმასაც გაეყარა და ჟურნალისტიკით გატაცებული თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად. სასწავლებელში ვერ მოეწყო და ცნობილ კონიაკის მრეწველ, დავით სარაჯიშვილს მოჯამაგირედ დაუდგა. თავისუფალ დროს კი პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა. სარაჯიშვილმა იგი დავალებით მოსკოვს მიავლინა. იქ მაჩხანელი დაუახლოვდა ქართველ მოღვაწეებს, კერძოდ, ალ. ხახანაშვილს, მისი დახმარებით შეიძინა წიგნები და დაეწაფა თვითგანვითარებას. დ. მაჩხანელის პირველი პუბლიცისტური ნაწარმოები იყო „ძმური სიტყვა“, რომელიც 1886—1888 წლებში ფელეტონების სახით იბეჭდებოდა „ივერიაში“. ხოლო 90-იან წლებში ცალკე წიგნად გამოვიდა. იმხანად „ივერიის“ არც ერთი ნომერი არ გამოსულა, რომელშიც დ. მაჩხანელის ფელეტონი არ ყოფილიყო. შეცხრამეტე საუკუნის მიწურულში დიმიტრი დაბრუნდა რუსეთიდან, სოფლად დასახლდა და დაიწყო ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ქვემო მაჩხაანში მან ფილიპე მახარაძის დახმარებით დააარსა

დეპო-სალარო (საგლეხო ბანკი), რომლის თავმჯდომარედ თვითონვე ითვლებოდა. ბანკი წარმატებით მუშაობდა და ბევრ საზოგადო მოღვაწეს აერთიანებდა. სწორედ ამ დეპო-ბანკში მისცა თავშესაფარი დ. მაჩხანელმა მეფის ოხრანკისაგან დევნილ პოეტ ირეოდიონ ევდოშვილს.

1903 წლის შემოდგომაზე დ. მაჩხანელი ტრაღიკულად დაიღუპა.

მაჩხანელის დაწყებული საქმე (თეატრის ასაშენებელი ფონდის შექმნა, წარმოდგენების გამართვა და სხვა) გააგრძელეს მისმა მეგობრებმა, მაგრამ მაჩხანელის ოცნება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა.

წლების მანძილზე ქვემო მაჩხაანის სახალხო სახლის სამშენებლო კომისიის თავმჯდომარე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ანტონ ნატროშვილი. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ანტონის შვილის მოგონება, რომელიც დეპო-ბანკსა და სოფლის საავადმყოფოსაც ეხება. იგი წერს: „...1899 წელს მოხდა ქვემო მაჩხაანის ბანკის და საავადმყოფოს საზეიმო გახსნა, რომელსაც თბილისის გუბერნატორი სვეჩინი და გუბერნიის ექიმი ქიქოძე დაესწრო. აგრეთვე მოწვეული იყვნენ თბილისიდან მსახიობები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ვალერიან გუნია, ვასო ურუშაძე, რომელთაც ჩაატარეს ქართული წარმოდგენები, რასაც მაშინ ქიზიყისათვის დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა“.

ირეოდიონ ევდოშვილი თეატრის დიდი მოტრფიალე

გახლდათ. მაგრამ ციხეებში დამწყვდეულსა და მძიმე სენით შეპყრობილს შესაძლებლობა არ ჰქონდა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა თეატრის საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, ქართულ თეატრთან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

ირ ოდიონის დის ბაბილინას გადმოცემით პოეტს თავისი კალამი დრამატურგიაშიც უცდია. მას დაუწერია ვოდევილი თუ კომიკური სურათი ბოდბისხევის ეკლესიის მსახურთა ცხოვრებიდან. ამ კომიკურ სურათში აღწერილი ყოფილა, თუ როგორ ჩხუბობდნენ მღვდელი და დიაკვანი ტაბლის გაყოფაზე. ირ ოდიონი ჩაიცვამდა ხოლმე მამის სამოსს (მამამისი ამაღლების ეკლესიის მთავარი დიაკვანი იყო), თავს მოუყრიდა მეზობლებს, შინაურებს და შეუდგებოდა თავისი ნაწარმოების ინსცენირებას. იგი არ ინდობდა მამას და გაბედულად აკრიტიკებდა მის საქციელს. ყველანი გაოცებული შეჰყურებდნენ და აკვირვებდათ ახალგაზრდა ირ ოდიონის გაბედული საქციელი.

ირ ოდიონ ევდოშვილი და ბაბილინა ხოსიტაშვილი აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვემო მაჩხაანის მოწინავე საზოგადოების ყოველ წამოწყებას. ეს სოფელი ბოდბისხევის მეზობლად მდებარეობს და მაშინ ქვემო ქიზიყის ცენტრს წარმოადგენდა, სადაც 1910 წელს „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქვემო ქიზიყის განყოფილება დაარსდა. ამ საზოგადოებამ მთელ ქიზიყში პირველმა დაიწყო სახსრების შეგროვება თეატრის ასაშენებელი ფონდისათვის, რომლის ინიციატორი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიმიტრი მაჩხანელი იყო.

1910 წლის ზაფხულში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ალექსანდრე ახმეტელი არდადეგების დროს ქვემო მაჩხაანში ჩავიდა.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თხოვნით და ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენციის დახმარებით ა. ახმეტელმა ქვემო მაჩხაანის სკოლის დარბაზში დადგა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანიკო ჯანყარაშვილი (ზეინაბი), ვასო ალუღიშვილი (ოთარ ბეგი), ტარას ბაღაშვილი (სულეიმან ხანი), ნიკო კობიაშვილი (დათო), რომან ნასიძე (ერეკლე), ნინო ზალდასტანიშვილი (მაიკო), მარო როსტომაშვილი (გაიანე), ქეთო ზალდასტანიშვილი (ისახარი), სოფიო ბოსტაშვილი (რუქაია) და სხვა.

როგორც ამ სიიდან ჩანს, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ არა მარტო ქვემო მაჩხაანის, არამედ ზემო მაჩხაანის, მირზაანის, არბოშიკის, ჯუგაანის, ბოდბისხევისა და ქვემო ქიზიყის სხვა სოფლების სცენისმოყვარეებიც, რომელთაგან ზოგიერთი შემდგომ სიღნაღის თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა.

აღნიშნული წარმოდგენის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილია რეცენზია, რომელიც მთლიანად მოგვყავს:

„...ქვემო მაჩხაანი. 31 ივლისს ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ა. ახმეტელაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა ჩვენი საუკეთესო დრამატურგის ა. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“. ყველას მოეხსენება რა ძნე-

ლია ამ რთული, პასუხსაგები პიესის წარმოდგენა სოფლის მოუწყობელ სცენაზე. ამისდა მიუხედავად, წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ესთეტიკურად დაატკბო იგი და ნასიამოვნები გაგზავნა შინ. დარბაზი სავსე იყო ხალხით და შემოსავალიც სრული. თუმცა უნდა ითქვას, ახალი ტანისამოსის შეკერვას და ახალი დეკორაციების დახატვას დიდი ფული დასჭირდა. დეკორაციები უსასყიდლოდ დახატა სტუდენტმა ნადირაძემ, რისთვისაც მადლობის ღირსია, მხოლოდ განსაკუთრებულის მადლობის ღირსია ხსენებული სტუდენტი, ამ წარმოდგენის რეჟისორი ა. ახმეტელაშვილი, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა, რათა ადგილობრივი სცენისმოყვარენი ჯეროვნად მოემზადებინა. სცენისმოყვარეთა შორის მეტი ყურადღება ზეინაბის როლის ამსრულებელმა ა. ჯანყარამვილმა და სულეიმან ხანის როლის ამსრულებელმა ტ. ბაღაშვილმა მიიქციეს. თუმცა დანარჩენ სცენისმოყვარეთაც არა უშავდათ რა და საერთოდ წარმოდგენის ანსამბლს ხელი შეუწყვეს და როლებიც ჩინებულად იცოდნენ“ [1].

ახმეტელის მაჩხაანიდან წასვლის შემდეგ სცენისმოყვარეებმა „ღალატი“ კვლავ დადგეს.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ ჩვენი მხცოვანი პოეტი და დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც ახალგაზრდობის წლებში აგრეთვე გარკვეული ღვაწლი

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1910, № 90

მიუძღვის ქვემო მაჩხაანის თეატრალურ საქმიანობაში.

სანდრო ქიზიყის შუაგულ სოფ. ჯუგაანში დაიბადა. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში და ყოველ ზაფხულს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვემო მაჩხაანში გამართულ წარმოდგენებში. 1907—1909 წლებში სანდროს ქვემო მაჩხაანში დაუდგამს ა. ყაზბეგის „არსენა“ და მთავარი როლი თვითონ შეუსრულებია. მეორე მისი დადგმა ყოფილა დ. ერისთავის „სამშობლო“, სადაც თვითონ ლევან ხიმშიაშვილის როლი განუსახიერებია.

სანდროს გადმოცემით, ამ სპექტაკლით ქვემო მაჩხაანის დასი ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლის, ჯანდიერის მიწვევით ველისციხეში გამგზავრებულა საგასტროლოდ. პოეტი ამბობს, რომ ქვემო მაჩხაანში გამართულ წარმოდგენებში მის მამას ილია შანშიაშვილსაც მიუღია მონაწილეობა. კერძოდ, ყაზბეგის „არსენაში“ კუჭატნელის როლი უთამაშია.

ს. შანშიაშვილის პირველი პიესა „უგვირგვინო მეფენი“ ვალერიან გუნიამ 1912—1913 წლებში თბილისის ქართულ კლუბში დადგა ალექსანდრე იმედაშვილის საბენეფისოდ. სიღნაღში კი ამ სპექტაკლს 1921—1922 წლებში ილო მოსაშვილის დადგმით უჩვენებდნენ.

1921—1922 წლებში სანდრომ დაწერა და პირველად სიღნაღის მაზრის ხელმძღვანელობისა და ინტელიგენციის წინაშე წაიკითხა პიესა „სპარტაკი“. 1922-23 წლის სეზონში თბილისის სახალხო სახლის დასმა ეს პიესა ჯერ ოპერის თეატრის შენობაში დადგა ა. წუწუნავას

რეჟისორობით, შემდეგ კი ყოფ. ზუბალაშვილის სახლში იდგმებოდა, ვიდრე იქ წითელი თეატრი გაიხსნებოდა. ამ სტრიქონების ავტორმა „სპარტაკი“ 1928 წელს თელავის და 1930 წელს სიღნაღის თეატრებში დადგა.

ა. შანშიაშვილის პიესები: „ანზორი“, „არსენა“. „სამნი“, „ფოლადაური“, „გიორგი სააკაძე“ (გადაკეთებული „უგვირგვინო მეფენი“), „კრწანისის გმირები“, „იმერეთის ღამეები“ და სხვა, წლების მანძილზე იდგმებოდა საქართველოს თითქმის ყველა თეატრში. ზოგიერთი მათგანი დღესაც იდგმება. 1935—1936 წლებში „ანზორის“ და „არსენას“ დადგმა განვახორციელეთ წითელწყაროს მუშა ახალგაზრდობის თეატრში, ხოლო 1936 წლის ზაფხულში საგარეჯოს თეატრში — „არსენა“.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ქვემო მაჩხაანელი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიკო ფაშალიშვილი. შესანიშნავი ლექსების, სატირა-იუმორის, კინოსცენარებისა და მხატვრული ნარკვევების ჩინებულმა ოსტატმა თარგმნა შექსპირის, ლოპე დე ვეგას და სხვათა კლასიკური პიესები. დიდი წარმატება ხვდა ს. ფაშალიშვილის მიერ ა. ცაგარლის კომედიის მოტივებზე დაწერილი სცენარის მიხედვით დადგმულ კინოსურათს „ქეთო და კოტეს“.

1914 წლის ივლისში ს. ფაშალიშვილის ინიციატივით ქვემო მაჩხაანში მოეწყო აკაკი წერეთლის საღამო ბაბილინას, ვ. კოტეტიშვილის და ს. ფაშალიშვილის მონაწილეობით.

სიკოს კალამს ეკუთვნის ორმოქმედებიანი სატირა

„ჩაჩანაკი კაკახათში“, რომელსაც სამამულო ომის წლებში და შემდგომაც დგამდნენ თვითმოქმედი კოლექტივები.

სილნაღისა და ქვემო მაჩხაანის თეატრალურ წამოწყებას არ ჩამორჩა მაზრის ერთ-ერთი დიდი სოფელი ველისციხე. საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბუხნიკაშვილის ბიბლიოგრაფიიდან და მოგონებიდან ვგებულობთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ველისციხეში სცენისმოყვარეთა წრე არსებობდა.

1914 წელს კი ველისციხეში შეიქმნა დრამატული საზოგადოება ს. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც განიზრახა წარმოდგენების გამართვა მთელ ქიზიყში.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1910 წლის 29-ე ნომერში გიორგი დონჯაშვილი (ძველი სცენისმოყვარე იყო) ლაგოდეხიდან წერდა:

„10 ივლისს, სომხური სკოლის დარბაზში ი. გრიშაშვილის და ალ. შანშიაშვილის მეთაურობით, ქიზიყის სცენისმოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნა ა. ყაზბეგის „არსენა“ და ბ. ახოსპირელის „გეურქ აღა და შანტაჟისტები“. საღამომ მშვენივრად ჩაიარა. საუცხოოდ ითამაშა ი. გრიშაშვილმა სირაჯის როლი და გეურქ აღა. ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. სასურველია ხშირად შემოიარონ ქართველმა მსახიობებმა ბუნებით მდიდარს კავკასიონის ქედის ძირში“.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლაგოდეხში გამგზავრებამდე გრიშაშვილი, შანშიაშვილი და „ქიზიყელი სცე-

ნისმოყვარენი“ ჯერ სიღნაღში და ქვემო მაჩხაანში გამოვიდნენ, მაგრამ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

ლაგოდეხში მეფის ჯარის ნაწილებს საკუთარი საკრებულო ჰქონდათ, სადაც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან რუსული საღამო-წარმოდგენები იმართებოდა. 1916 წელს კი გერონტი ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა შრომა-ლაგოდეხის სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატურად მართავდა ქართულ წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით.

აქ მოტანილია არასრული ნუსხა სიღნაღში და მის ყოფილ მაზრაში გამართული წარმოდგენებისა, რადგან სხვა დამადასტურებელი საბუთი ხელთ არა გვაქვს. მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ სიღნაღის თეატრალურ წარსულზე.

ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში სიღნაღის სცენაზე გამოდიოდნენ ქართული თეატრის კორიფეები: ნატო გაბუნია-ცაგარელი, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი და სხვა, დიდი წვლილი იყო ქალაქის მოსახლეობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში და ხელი შეუწყო ადგილობრივი კადრების აღზრდას.

* * *

თუ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სიღნაღის სცენისმოყვარეთა რამდენიმე

გვარი გვხვდებოდა, მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში ქიზიყში ცნობილი იყვნენ მთელი რიგი წამყვანი სცენისმოყვარენი: ვასო ალუღიშვილი, სოსო თარალაშვილი, გიორგი ვარვარიძე, (შემდეგ ქართული თეატრის მოკარნახე), ვანო ბუთლიაშვილი, ს. მებურიშვილი (რეჟისორი), აგრეთვე ცოლ-ქმარი ნინო გოძიევა და კოტე გოგოლაშვილი (პარტიის სამაზრო კომიტეტის წევრები), ა. შ. სერებრიაკოვი, სიკო შავლიაშვილი, ქრისტეფორე ასტვაცატუროვი, მართა ტყავაძე (ამჟამად ლენინის ორდენოსანი დამსახურებული მასწავლებელი), მაკა ანდრონიკაშვილი, თამარ ანდრონიკაშვილი, გიორგი სარაჯიშვილი, გრიგოლ ნუბაროვი, ვასილ სიფრაშვილი, გიორგი ხატისკაცი, იოსებ კრაწაშვილი, დეზი რეჰანა და ოლია სააკოვები, ნინო გოდერძოვი, ა. მოსულიშვილისა, მ. ვარვარიძისა, ივ. გომელაური და სხვები, რომლებიც უსასყიდლოდ, საზოგადოებრივი დატვირთვით მუშაობდნენ. ტანსაცმელს, რეკვიზიტს და სცენის მოსაწყობ ავეჯს თვითონ შოულობდნენ, ან შინიდან მოჰქონდათ, რათა წარმოდგენები უნაკლო ყოფილიყო.

მათ დასახმარებლად თბილისიდან ჩადიოდნენ პროფესიონალი მსახიობები: სოსო ივანიძე, ალექსანდრე ყალაბეგიშვილი და შაქრო საფაროვი.

1901 წელს ოთხი წარმოდგენა გაიმართა: მარტში ქართული და რუსული წარმოდგენა, ივნისში — ვ. გუნიას „და-ძმა“ და „არც აქეთ, არც იქით“, ივლისში სტუდენტ ი. პოლუმორდვინოვის თაოსნობით გაიმართა რუსული წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, ხოლო 25 ივნისს — კონცერტი. 1902 წელსაც ოთხი წარმოდ-

გენა გაიმართა: 13 იანვარს რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ შერე იქორწინეს“, 20, 21 და 22 მარტს — ნ. გოგოლის ხსოვნის საღამოები.

1903 წელს აღნიშნულია სამი წარმოდგენა: დადგეს ნ. ყიფიანის მიერ გადმოკეთებული „აბირებული“, ა. ცაგარლის „ოინბაზი“ და სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“; 4 აგვისტოს წარმოადგინეს ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“; 14 ნოემბერს გაიმართა კონცერტი ქალთა სასწავლებელში.

1904 წლის 24 ივნისს სიღნაღის საზოგადო საკრებულოში სცენისმოყვარეებმა დადგეს ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და ვ. გუნიას „და-ძმა“. 6 ივლისს წარმოადგინეს ვ. გუნიას „ჭკუისა მჭირს“, ხოლო 16 ოქტომბერს ვ. გუნიას „ჭკუისა მჭირს“ და „ცოლქმრობის წინააღმდეგ“, ჩეხოვის „დათვი“.

1905 წელი სიღნაღში აღინიშნა ოთხი დიდი ღონისძიებით: 16 თებერვალს გაიმართა საღამო ფართო პროგრამით, 26 თებერვალს დადგეს ა. ცაგარლის „ბაიყუში“, 15 ივლისს გ. ერისთავის „ძუნწი“, 24 ივლისს—ნ. აზიანის „ფული და ხარისხი“ და ვ. გუნიას „ცოლქმრობის წინააღმდეგ“.

1906 წელს კი უკვე თერთმეტი წარმოდგენა უჩვენეს: 1 თებერვალს ბ. ერიციანის „შემცდარი ანგარიში“; 16 ივლისს — სოსო ივანიძის, ალ. ყალაბეგიშვილისა და შ. საფაროვის მონაწილეობით დაიდგა ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“ და ა. ცაგარლის „მშვენიერი ელენეს მაძიებელი“; 6 აგვისტოს წარმოადგინეს ა. რობოს „თაგვის ბრალია“ (ვ. გუნიას თარგმანი). დასას-

რულს გაიმართა დივერტისმენტი; 26 ივლისს ქალაქის სამკითხველოს სასარგებლოდ სოსო ივანიძის რეჟისორობით დაიდგა ვ. აბაშიძის კომედია 4 მოქმედებად „ახლანდელი სიყვარული“; 20 აგვისტოს — ს. ივანიძის და შ. საფაროვის მონაწილეობით ქართულად წარმოადგინეს „თამარ ბატონიშვილი“ და რ. ერისთავის „მათიკო“, რუსულად — „საცოლე ერთი საათით“; 21 აგვისტოს მათივე მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო“. 3 სექტემბერს, საზოგადოების თხოვნით, იგივე გაიმეორეს; 10 სექტემბერს დადგეს კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი“ და რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, გლაზუნოვის „ცოფიანი ბატკანი“; 13 სექტემბერს — ექიმ ნ. ჯანდიერის ხელმძღვანელობით, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ დაიდგა ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“ (პიესა 4 მოქმედებად), რომელშიც მონაწილეობდნენ: ვ. მირიანაშვილი, ქ. არაგვისპირელი, ს. შავლიაშვილი, ვ. ბუთლიაშვილი, რეჰანა და ოლია სააკოვები, შ. საფაროვი, გ. სარაჯიშვილი, ს. მებურიშვილი, ტურიაშვილი, ტატუხოვი და სხვები.

გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს სამი „სახალხო გასართობი“. სილნაღის სტამბაში რუსულ და ქართულ ენებზე დაბეჭდილი აფიშა-პროგრამაში ვკითხულობთ:

პირველი სახალხო გასართობი

ქ. სიღნაღი

ხუთშაბათს, 9 აგვისტოს, 1906 წელს

ა. შ. სერებრიაკოვი

ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით და ხელისშეწყობით გამართავს წარმოდგენას.

1 რუსულად — ა. ჩეხოვის „დათვი“
2 სომხურად — ერიციანის „სონას დანიშვნა“
3 ქართულად — ვ. გუნიას „მონადირე“
4 მუსიკალურ-ლიტერატურული განყოფილება

მეორე სახალხო გასართობი

შაბათს, 19 აგვისტოს, 1906 წელს

1 ქართულად — ა. ცაგარლის „ხანუმა“
2 სომხურად — დ. აწყურელის „მთიული“
3 მუსიკალურ-ლიტერატურული განყოფილება

„სახალხო თეატრის“ მნიშვნელობაზე ილაპარაკებს არტისტი ივანიძე.

მესამე სახალხო გასართობი

კვირას, 27 აგვისტოს, 1906 წელს

1 სომხურად — დ. აწყურელის „ორი მშიერი"
2 ქართულად — ტერეღიშას „კაპიშონი"
3 ვ. გუნიას — „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია"[1].

თუ დავაკვირდებით სპექტაკლების თანმიმდევრობას, დავინახავთ, რომ პირველი გასართობი პირველად რუსულ ენაზე წარმოადგინეს, მეორე გასართობი — პირველად ქართულ ენაზე, ხოლო მესამე გასართობი — სომხურ ენაზე.

კახეთში, რომელიც რკინიგზას ასობით კილომეტრით იყო დაშორებული, ასეთი ღონისძიებების ჩატარება 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ და შავი რეაქციის თარეშის პირობებში, მოწმობს ხალხის თვითგამორკვევას. თვით ხალხის წრიდან გამოსული პროგრესული მოღვაწენი თაოსნობდნენ ჩაეტარებინათ ესა თუ ის კულტურული ღონისძიებანი.

ქართული თეატრის გამოჩენილ მსახიობს და მოამაგეს სოსო ივანიძეს სიღნაღის თეატრალურ ცხოვრებაში დიდი დამსახურება მიუძღვის. იგი ხშირად მართავდა საქველმოქმედო წარმოდგენებს და, რეპერტუარის გამდიდრების მიზნით, პიესებსაც წერდა. მისი პიესები სიღნაღის სცენაზე ხშირად იდგმებოდა.

1907 წელს სიღნაღის სცენისმოყვარეებმა ს. შავლიაშვილმა, გ. ვარვარიძემ, ქრისტეფორემ, ვ. ბუთიაშვილმა, ოლია და რეჰანა სააკოვებმა, ანიჩკა და ნინო გოდერძოვებმა, უზუნაშვილმა და სხვებმა შექმნეს

---

[1] აფიშა-პროგრამები დაცულია თეატრალურ მუზეუმში, ფონდი 21

„მოძრავი დასი“, სცენა და ჯულისები ფურგონით დაგვქონდა, იგონებს ქრისტეფორე. მაზრის უფროსს არაერთგზის დაუპატიმრებია ისინი, თქვენ ბნელ საქმეებზე დადიხართო. ვარვარიძე და უზუნაშვილი სიღნაღიდან გადაასახლა და „მოძრავი დასიც“ დაიშალა. მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, წარმოდგენები მთელ მაზრაში იმართებოდა. მარტო სიღნაღში ამ წელს 12 პიესა დაიდგა.

7 იანვარს დაიდგა ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ვ. გუნიას თარგმნილი „თაგვის ბრალია“ 20 იანვარს — გ. ერისთავის „ძუნწი“ და ი. მაჩაბლის მიერ ფრანგულიდან გადმოქართულებული „ადვოკატი მელაძე“. გარდა ამისა, იანვარში ვ. ბუთლიაშვილის ხელმძღვანელობით რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა: 4 თებერვალს ვ. გუნიას „ხორველობა“, გ. სუნდუკიანის „დაქცეული ოჯახი“; 17 თებერვალს უზუნაშვილის ხელმძღვანელობით ტრ. რამიშვილის „მეზობლები“.

1907 წელს სიღნაღის სცენისმოყვარეთა ინიციატივით საზაფხულო თეატრი მოეწყო იაგუბოვების სახლში და 1910 წლამდე, ვიდრე ახალი კლუბი გაიხსნებოდა თავისი საზაფხულო ნაგებობით, ყოველ ზაფხულს აქ იმართებოდა საღამო-წარმოდგენები და მაყურებელიც საკმაოდ ჰყავდა.

საზაფხულო თეატრის პირველ წარმოდგენებს ვანო ბუთლიაშვილი ხელმძღვანელობდა. პირველ წელს აქ დაიდგა: 7 ივნისს — ვ. გუნიას „მონადირე“, იაკოვლევის „ადამ და ევა“, და „სიყვარული თუ სიკვდილი“,

7 ივლისს — ა. ჩეხოვის „დათვი“ და დ. აწყურელის „ორი მშიერი“, 22 ივლისს — სუნდუკიანის „პეპო“. 29 ივლისს სიღნაღში პირველად გაიმართა დღის წარმოდგენა ბავშვებისათვის. წარმოადგინეს დ. აწყურელის „ორი მშიერი“, „რწყილი და ჭიანჭველა“. ანტრაქტებში სიმებიანი ორკესტრი უკრავდა. იყო მრავალი გასართობი. დასასრულ მოეწყო ბავშვების სვლა ყვავილების დედოფალთან ერთად.

6 აგვისტოს სერებრიაკოვის ხელმძღვანელობით დაიდგა ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 18 აგვისტოს — „ქართველი დედა“ და „ცოლქმრობის წინააღმდეგ“, 25 აგვისტოს — რ. ერისთავის „პარიკმახერთან“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ვ. გუნიას „ხორველობა“, 1 ოქტომბერს — ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, ა. ცაგარლის „სულელი“ და ოსტროვის „მესტვირე“.

უკანასკნელი სამი წარმოდგენა შაქრო საფაროვის ხელმძღვანელობით გაიმართა.

1908 წლის 13 ივლისს დრამატული კურსების მოწაფის სტუდგაიტი—ბარათაშვილის მონაწილეობით დაიდგა პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, 3 აგვისტოს კი მისივე ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედა“. 12 სექტემბერს ვ. ბუთლიაშვილმა დადგა ი. მაჩაბლის მიერ ფრანგულიდან გადმოქართულებული „ადვოკატი მელაძე“.

1909 წლის 6 თებერვალს ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ საზოგადო საკრებულოში გაიმართა საღამო-წარმოდგენა. 1 და 5 მაისს დაიდგა „ადვოკატი

მელაძე“, ხოლო 27 ოქტომბერს გაიმართა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო.

29 დეკემბერს საზოგადო საკრებულოში მოეწყო ცნობილი მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარლის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ექიმ კ. ლ. ტურიაშვილის მოხსენების — „ქართული თეატრის შესახებ“ — შემდეგ წარმოადგინეს ვ. გუნიას კომედია „სიძე-სიმამრი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ტ. ბოდბისხეველი, მ. ნაცვლიშვილი, მ. ბეგიაშვილი, ივ. ქიტიაშვილი, ახო ვაჩნაძე, ვ. ბუთლიაშვილი. საღამოს ხელმძღვანელობდა ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი.

1910 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სიღნაღის განყოფილება. მისი პირველი თავმჯდომარე იყო ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი, წევრები: ექიმები—ნ. ჯანდიერი და დ. ფავლენიშვილი, ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. ბაქრაძე, კ. ჯაფარიძე, ი. ქიტიაშვილი, კ. ტყავაძე.

ამიერიდან ახალი კულტურული წამოწყების ინიციატორი იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. „საზოგადოების“ ადგილსამყოფელი იყო თვით კ. ლ. ტურიაშვილის სახლში, სადაც იმავე წელს გაიხსნა ახალი კლუბი საზაფხულო თეატრით.

საგულისხმოა, რომ ეს სახლი უშუალოდ სიღნაღის ციხე-გალავნის კედელს ეკვრის ქალაქის პირველ თაღოვან გასასვლელთან და ამ ისტორიულ შენობაში დღეს ქიზიყის მხარეთმცოდნეობის მუზეუმია მოთავსებული.

ახალ საზაფხულო თეატრში სიღნაღის მაზრის მოგ-

ზაურმა დასმა სოსო ივანიძის რეჟისორობით და სოსო ჟივიძის ადმინისტრატორობით დადგა: ა. წერეთლის „პატარა კახი“, ს. ივანიძის „დამონებულნი“, ვ. გუნიას „სიძე სიმამრი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. ვაჩნაძის პიესა „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“.

აწ განსვენებულ მსახიობ ს. ჟივიძის გადმოცემით მოძრავ დასში იყვნენ შემდეგი სცენისმოყვარენი: დაძმა შავლიაშვილები, ა. მაისურაძე მეუღლითურთ, თ. ანდრონიკაშვილი, ვ. ალუღიშვილი, გ. ხატისკაცი, თ. ნაცვლიშვილი, ა. ინაშვილი, ს. სპანდერაშვილი, გ. იაგუბოვი. „მოძრავი დასის“ რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო და მაზრის თითქმის ყველა სოფელში დგამდნენ წარმოდგენებს. მარტო სიღნაღში 17 წარმოდგენა დადგეს, ხოლო მოძრავი დასისა და ადგილობრივი სცენისმოყვარეთა მიერ მაზრაში დადგმული წარმოდგენების რიცხვი ორმოცამდე აღწევდა.

გარდა ამისა, შალვა დადიანის, ელო ანდრონიკაშვილის, ალექსანდრე იმედაშვილისა და ბეგლარ ახოსპირელის მონაწილეობით დაიდგა ტ. რამიშვილის „საბედისწერო დამბაჩა“ და ბ. ახოსპირელის „გეურქ აღა და შანტაჟისტები“, ხოლო ა. იმედაშვილის მონაწილეობით შილერის „ყაჩაღების“ უკანასკნელი მოქმედება.

ნ. ჯანდიერისა და ნ. ფავლენიშვილის თაოსნობით 9 ოქტომბერს და 26 ნოემბერს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ ორი საღამო-წარმოდგენა გაიმართა. გარდა ამისა, მოეწყო ვანო სარაჯიშვილის კონცერტი.

1911 წელს სიღნაღის სცენისმოყვარეებმა ს. ივანი-

ძის, ს. ჟივიძის და შ. საფაროვის მონაწილეობით შვიდი წარმოდგენა გამართეს: ვ. გუნიას „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, ს. ივანიძის „სულ ამ ცხვირის ბრალია“, ა. ბაქრაძის „ხელოვნება, თუ კაკარდა“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. მაჩაბლის მიერ გადმოქართულებული „ადვოკატი მელაძე“, და ახო ვაჩნაძის „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“.

ვექილი ახო ვაჩნაძე, რომელსაც გულწრფელად უყვარდა თეატრი, წერდა პიესებს. იგი თავმდაბალი კაცი იყო, მსახიობთა მოტრფიალე და ხელის შემწყობი. მან დაწერა „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ და „მეგობრობა“. პირველი პიესა ცალკე წიგნად დაიბეჭდა და ბევრგან იდგმებოდა. ა. ვაჩნაძე რეპერტუარის მრავალფეროვნებისათვის ხშირად რუსულიდანაც თარგმნიდა, ან გადმოაკეთებდა ხოლმე პიესებს და როცა თბილისიდან მსახიობები დაიგვიანებდნენ (ისინი მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდნენ), თვითონ რეჟისორობდა და დგამდა წარმოდგენებს. ამიტომ ახალ კლუბს სიღნაღელი ახალგაზრდები „ახოს კლუბს“ ეძახდნენ.

სიღნაღის სცენისმოყვარენი ხშირად დგამდნენ ახო ვაჩნაძის პიესებს.

1912 წლის 11 აგვისტოს სიღნაღში გაიმართა დიდი კონცერტი ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას და ი. ტიმაშევიჩის მონაწილეობით. 17 აგვისტოს ვასო ალუღიშვილის საბენეფისოდ ელო ანდრონიკაშვილის, შალვა დადიანის და შალვა ხონელის მონაწილეობით დაიდგა ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარი“.

გარდა ამისა, ამ წელს დაიდგა: შ. საფაროვის „მკვდრები სდგებიან“, ი. მაჩაბლის „ადვოკატი მელაძე“, გ. ერისთავის „გაყრა“, ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“, ტერეღიშას „კაპიშონი“ და რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

1913 წელს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მოძრავმა დასმა ს. ივანიძის და ს. ჟივიძის ხელმძღვანელობით სილნაღში ორი წარმოდგენა გამართა: ვ. გუნიას „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“ და ვ. აბაშიძის „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“. გარდა ამისა, „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ დაიდგა ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“.

1914 წელს ვ. ალუღიშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა ოთხი პიესა: დ. აწყურელის „დასჯილი“, ვ. გუნიას „არც აქეთ, არც იქით“, ი. გედევანიშვილის „გამცემი“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“.

იმავე წელს შეიქმნა ახალგაზრდა მსახიობთა მოძრავი დასი, რომლის რეჟისორი იყო ნიკო გვარაძე, ადმინისტრატორი — სოსო ჟივიძე. დასში იყვნენ ქართული დრამის მსახიობები: ვერა მარგველაშვილი, ანიკო კავთელი, სოსო ივანიძე, ნიკოლოზ ჩაგუნავა და ადგილობრივი სცენისმოყვარენი: ვასო ალუღიშვილი, იოსებ თარალაშვილი, ილო მოსაშვილი, რომან ნასიძე, გიორგი ხატისკაცი, ოლია სააკოვა. ამ დასის მუშაობის შესახებ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გვარაძე წერს:

„1914 წლის ზაფხულში სომხეთიდან დავბრუნდით თუ არა, მე და იოსებ ჟივიძემ მოვიწვიეთ რამდენიმე

ახალგაზრდა მსახიობი და გადავწყვიტეთ მთელი ზაფხული სიღნაღს წავსულიყავით და წარმოდგენები გაგვემართა. რადგან ფული არ გვქონდა რომ პირდაპირ სიღნაღში წავსულიყავით, განვიზრახეთ პირველი წარმოდგენა საგარეჯოში გაგვემართა. პირველი პიესა, რომელიც ჩვენ მოვამზადეთ, იყო შალვა დადიანის „შენი ჭირიმე". წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო და კმაყოფილი იყვნენ ჩვენი ჩასვლით. კახეთის რკინიგზა ჯერ არ იყო გახსნილი, ამიტომ საგარეჯოში „ლინეიკა" დავიქირავეთ, რომლითაც სიღნაღისაკენ გავწიეთ... პირველი წარმოდგენა დავდგით „შენი ჭირიმე" და ეს იყო ჩვენი საზაფხულო სეზონის გახსნაც. სიღნაღის მოსწავლე ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ჩვენს წამოწყებას დიდი სიამოვნებით შეხვდა. წარმოდგენებს ვმართავდით ახალი კლუბის საზაფხულო შენობაში. სიღნაღში მხოლოდ კვირაობით ვდგამდით წარმოდგენებს და იმდენს ვიღებდით, რომ საცხოვრებლად ძლივს გვყოფნიდა. ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან ხშირად გვიხსნიდა ხოლმე ჩვენი მოხუცი მეგობარი ახო ვაჩნაძე... მას ძალიან უყვარდა მსახიობები... სწორედ ამგვარმა ადამიანებმა გაგვამხნევეს და შეგვპირდნენ დახმარებას და ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ მთელი ზაფხული სიღნაღის მაზრაში გვემუშავნა" [1].

ნ. გვარაძის დასი სოფლებშიც დადიოდა: „სოფლად წარმოდგენების გასამართავად ტრანსპორტის დაქირავე-

---

[1] ნ. გვარაძე, თეატრალური მემუარები, სახელგამი, 1949. 216—217

ბის საშუალება არ გვქონდა. ამიტომ ახლო სოფლებში (მაჩხაანი, ანაგა, ბოდბისხევი) ფეხით დავდიოდით, ხოლო შორი სოფლებისათვის ვქირაობდით ჩარდახიან ურემს და იმით ვმოგზაურობდით. მაშინ სცენა არც ერთ სოფელში არ იყო და წარმოდგენებს აივანზე ვდგამდით, ღია ცის ქვეშ კი ხალხი იჯდა. თუ კარგი ამინდი იყო, რა თქმა უნდა, რაღაც შემოსავალს ავიღებდით, მაგრამ თუ წვიმა წამოვიდოდა ჩვენზე უბედური კაცი აღარ იყო. უკაპეიკოდ ვრჩებოდით და თანაც მეურმის ვალი დაგვედებოდა და აღარ ვიცოდით რით გაგვესტუმრებინა“ [1].

ამ მოძრავმა დასმა 1914 წლის ზაფხულში სიღნაღის მაზრაში 21 წარმოდგენა გამართა. შ. დადიანის „შენი ჭირიმე“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. გედევანიშვილის „გამცემი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, (ევ. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით), ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები“, ვ. გუნიას „მონადირე“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, დ. აწყურელის „გაუგებრობა“, ილო მოსაშვილის პირველი პიესა „ორი მეგობარი“.

სიღნაღის სცენისმოყვარენი მსურვალედ გამოეხმაურნენ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მოწოდებას და ქართული თეატრის შენობის, რომელიც 1914 წელს დაიწვა, ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლად. ოქტომბრის თვეში დადგეს ა. ყაზბეგის „არსენა“ და მაჩაბლის მიერ გადმოქართულებული „ადვოკატი მელაძე“.

---

[1] ნ. გვარაძე, თეატრალური მემუარები, სახელგამი, 1949, 218

ამავე წლის 6 ივნისს სოფელ ბაკურციხეში შალვა დადიანის რეჟისორობით დაიდგა ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“, რომელშიც მონაწილეობდნენ თვით შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ნინო დავითაშვილი, ნუნუ მაჭავარიანი; ადგილობრივი სცენისმოყვარენი: ვ. გარიკი, ივ. გომელაური, ი. ვაჩნაძე, ო. სამადაშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ვ. ბაკურციხელი.

ამრიგად, 1914 წელს სიღნაღსა და მის მაზრაში ორმოცამდე წარმოდგენა გაიმართა.

ამ პერიოდში გამოჩნდნენ ისეთი სცენისმოყვარეები, რომლებიც შემდგომ თვალსაჩინო დრამატურგები, რეჟისორები და მსახიობები გახდნენ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს იმ დროს ნიჭიერი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი ილო მოსაშვილი. იგი დუშეთის მაზრის სოფელ ჩარგალში დაიბადა. ილო ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი პეტერბურგისა და ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1917 წლიდან მოსაშვილი სიღნაღის მაზრაში მოღვაწეობდა. მაშინდელი მისი პიესებიდან უნდა აღინიშნოს „ორი მეგობარი“, რომელიც 1914 წელს ნიკო გვარაძემ დადგა სიღნაღში. ილოს მეორე პიესა ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან „მოწყვეტილი ყვავილი“ თვითონ დადგა სიღნაღში 1917 წელს. სტუდენტობის დროს ყოველ ზაფხულს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სიღნაღის თეატრის წარმოდგენებში და ნიჭიერ მსახიობად ითვლებოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსაშვილი მუშაობდა სიღნაღის მაზრის განათლების განყოფილე-

ბის უფროს ინსპექტორად და პოლიტიკური განათლების დრამატული დასის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პირველი რეჟისორი იყო. იგი თითქმის ხუთი წელი ხელმძღვანელობდა მას და როგორც მსახიობი წამყვან როლებს ასრულებდა.

მოსაშვილის პიესები: „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“, „გზა მომავლისა“, „სადგურის უფროსი“ წლების განმავლობაში იდგმებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის, აგრეთვე რაიონულ თეატრებში. 1947 წელს ველისციხის თეატრში ამ სტრიქონების ავტორმა დადგა „სადგურის უფროსი“, ხოლო 1950 წელს რობერტ ქართველიშვილმა სიღნაღის თეატრში — „ჩაძირული ქვები“.

ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე) 1896 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში დაიბადა. დაწყებითი განათლება სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ თბილისის საკომერციო სასწავლებელში სწავლობდა. აქ გაეღვიძა მას თეატრისადმი სიყვარული. ხშირად ესწრებოდა ავჭალის აუდიტორიაში მუშათა წარმოდგენებს და მათი გავლენით 1911 წელს სკოლის დრამწრესაც ხელმძღვანელობდა. ვახტანგი ძალიან ბევრს კითხულობდა. როდესაც იგი გამოჩენილ ინგლისელ მსახიობ დავით გარიკის ბიოგრაფიას გაეცნო, ამან ააფორიაქა ახალგაზრდა ვახტანგის სული და გადაწყვიტა თავის ფსევდონიმად გარიკის გვარი აერჩია.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვახტანგი მოსკოვში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. მცირე თეატრში იგი დაუახლოვდა ა. სუმბათა-

შვილ-იუჟინს და მისი დახმარებით დრამატულ სტუ-
დიაში მოეწყო. სუმბათაშვილი ძალიან დაინტერესდა
ახალგაზრდა თანამემამულის ნიჭიერებით და ყოველ-
მხრივ ეხმარებოდა მას.

1918 წელს ვ. გარიკი მოსკოვიდან დაბრუნდა და
პირველად თავისი რეჟისორული შესაძლებლობანი თე-
ატრში მოსინჯა. მან დადგა საკუთარი ინსცენირებით
ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას „მოლიპულ გზაზე“,
რამაც დამსახურებული პოპულარობა მოუპოვა. 1919
წელს, მენშევიკური მთავრობის მხრივ თეატრისადმი
უყურადღებობის გამო, ვ. გარიკი გულნატკენი წერდა:
„ჩვენ მოველოდით, რომ ქართული თეატრი მიუახლოვ-
დებოდა თავის ზენიტს, ქართული თეატრი ჩქარი ნაბი-
ჯით წავიდოდა წინ, მაგრამ ქართულმა თეატრმა არამც-
თუ დაიწყო ევოლუცია, პროგრესი, სიახლე, ახალი სი-
ცოცხლე, პირიქით დამბლა დაეცა და განადგურების,
უფსკრულის გზას დაადგა იგი“[1]. 1927 წელს ერთ-
ერთ საგაზეთო წერილში გარიკი წერდა: „ჩვენ გვჭირ-
დება ისეთი თეატრი, რომელიც მართლა მასებთან,
ხალხთან იქნება დაახლოებული, რომელიც ხალხის მიერ
ნამდვილად შეყვარებული და განცდილი იქნება“[2].

ვახტანგ გარიკი მუდამ ნოვატორი და ახლის მაძი-
ებელი იყო. მან ხელოვნების რთული გზა განვლო და
თავისი მიზნების განხორციელება. მხოლოდ საბჭოთა
ხელისუფლების წლებში შეძლო.

---

[1] ვ. გარიკი, თეატრი, 1958, 7
[2] იქვე, 11

1922 წელს იგი რეჟისორ-პედაგოგად მიიწვიეს პროლეტკულტის სტუდიაში. 1927 წლამდე დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა წითელ თეატრში, სადაც ქართულ სცენაზე პირველად დადგა ტრეტიაკოვის „გესმის, მოსკოვო“ და რომენ როლანის „ბასტილიის აღება“. აქვე მან დადგა შილერის „ყაჩაღები“, ლერნერის „დეკაბრისტები“ და სხვა.

1928 წელს გარიკმა სოხუმში ქართული და აფხაზური თეატრები ჩამოაყალიბა და ოთხი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა მათ.

1933 წლის ზაფხულში კი მშობლიურ სიღნაღის თეატრში დადგა ს. შანშიაშვილის „ანზორი“ და დ. ჩიანელის „ყარაბ და ემზარ“. მომდევნო წლებში იგი თელავის, ზუგდიდის და შემდეგ ისევ სოხუმის თეატრებში მუშაობდა. ბევრი მისი დადგმა ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევად იყო აღიარებული.

ვ. გარიკი მსოფლიო კლასიკოსების კარგი მცოდნე და შექსპირის თაყვანისმცემელი იყო. 1929 წელს მან გამოაქვეყნა ნარკვევების პირველი წიგნი „თეატრი“. მეორე წიგნის გამოქვეყნება კი ვეღარ მოასწრო, 1937 წელს იგი ტრაგიკულად დაიღუპა.

თავმდაბალი, გულისხმიერი და მუდამ მსახიობის მეგობარი ვ. გარიკი არასოდეს დაავიწყდებათ იმათ, ვისაც ოდესმე მასთან უმუშავია.

* * *

1915 წელს სიღნაღში სახალხო თეატრი დაარსდა. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“

(1915, № 24) წერდა: „შეადგინეს წესდება და სათანადო ადგილას წარადგინეს დასამტკიცებლად. სახალხო თეატრმა განიზრახა წარმოდგენები გამართოს სიღნაღში და ახლომახლო სოფლებში.

სახალხო თეატრის პირველი წარმოდგენები შალვა დადიანის რეჟისორობით იმართებოდა. 1915 წლის 14 ივნისს ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში სახალხო თეატრმა მოაწყო აკაკი წერეთლის ხსოვნის საღამო. პირველ განყოფილებაში საკუთარი ლექსი „სალამი მგოსანს“ წაიკითხა სტუდენტმა ილო მოსაშვილმა, მოხსენება „აკაკის მნიშვნელობა“ კი თვით შალვა დადიანმა წაიკითხა. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა ნაწყვეტი აკაკის პიესიდან „პატარა კახი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: ელო ანდრონიკაშვილი, ილო მოსაშვილი და შალვა დადიანი.

ამ საღამოსთან დაკავშირებით თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი აწ განსვენებული თედო ბეგიაშვილი იგონებს: „აკაკი საღამოში მონაწილეთა შორის სამნი — ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბარნაბიშვილი და მე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ვმონაწილეობდით. საერთოდ, ყოველი არდადეგების დროს ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვიღებდით სიღნაღის წარმოდგენებში. მე ყოველთვის მოკარნახეობა მქონდა დავალებული. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით კოტე ტყავაძემ აღძრა საკითხი აკაკის ქიზიყში მოწვევის შესახებ. შემუშავებული იქნა გეგმა,

თუ როგორი მარშრუტით უნდა ემოგზაურა მხცოვან პოეტს. ქიზიყის სოფლების შემოვლის და ქვემო მაჩხანში დასვენება-საუზმის შემდეგ საზეიმო შეხვედრა სიღნაღში უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ომის გამო აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა.

1913 წელს სოფელ ზემო ბოდბეში მასწავლებელ არონ ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა საღამო-წარმოდგენა ადგილობრივი სკოლისა და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, დაიდგა ნ. აზიანის „ფული და ხარისხი“...

შალვა დადიანის რეჟისორობით და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით დაიდგა რამდენიმე წარმოდგენა: ს. ჭანტურიშვილის „მორევში“, ალ. იმედაშვილის „ქარიშხალი“, კოტე მესხის „რუსთაველი“, პ. ირეთელის „ბედნიერი დღე“. 27 ოქტომბერს მოეწყო ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო. პროგრამაში იყო: მოხსენება ილიას მოღვაწეობის შესახებ (წაიკითხა ექიმმა დ. ფავლენიშვილმა). შემდეგ დაიდგა ილიას „დედა და შვილი“. დასასრულ მოეწყო კონცერტი. მთელი შემოსავალი 101 მანეთი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცა.

1916 წელს სიღნაღის დასს ოფიციალურად „სახალხო თეატრის“ წოდება მიანიჭეს. ამის დასადასტურებლად მოგვყავს შემდეგი საბუთი:

„...საქმე № 6, 1915 წელი

ჟურნალი

თბილისის საზოგადოებათა საქმეების საგუბერნიო დასწრების ოქმისა

... მაისი 1916 წელი

მოისმინეს. თბილისის გუბერნატორის მოვალეობის შემ-
სრულებლის განკარგულებით, საზოგადოე-
ბათა საქმეების საგუბერნიო დასწრებაზე
განსახილველად იოსებ ზაქარიას ძე კრაწა-
შვილის, ვასილ ალექსანდრეს ძე სიფრა-
შვილის, გიორგი მიხეილის ძე ხატისკაცის
და სხვათა განცხადება იმის შესახებ, რომ
მათ სურთ ქალაქ სიღნაღში დააწესონ „სცე-
ნისმოყვარეთა" ქართული წრე — „სახალხო
თეატრი" (წრის დებულების პროექტი თან
ერთვის).

უმაღლესი დამტკიცების კანონების (4 მარტი 1906 წ. საზოგადოებებისა და კავშირების შესახებ) თანახმად, მოისმინა რა ხსენებულის შესახებ და ხელმძღვანელობს რა ზემომოყვანილი კანონით, — საგუბერნიო დასწრება ადგენს: „სცენისმოყვარეთა ქართული წრე სახალხო თეატრი" ქალაქ სიღნაღში შეტანილი იქნეს დამტკიცებულ რეესტრში" [1].

სიღნაღის სახალხო თეატრმა 1916 წლის 5 მარტს გამართა მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ამის შესახებ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" წერს: „სიღ-ნაღში — შაბათს 5 მარტს ადგილობრივ სცენისმოყვარეთაგან მოწყობილ იქნა საღამო-წარმოდგენა ქ-ნ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავად. ადგილობრივ ქართულ წარმოდგე-

---

[1] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფონდი 29, აღწ. 1, საქმე 1734, ფურც. 1.

ნების მმართველს, ახლად ფეხადგმულს, მაგრამ ძლიერი ღონით სავსე წრეს, წინდაწინვე კარგად მოეფიქრა საღამოს მოწყობა. მოდღესასწაულის გარდა მოწვეული იყვნენ ვასო აბაშიძე და სოსო ივანიძე, რომელთაც 4 მარტს მელაანის სადგურზე შეეგება ამ წრის წარმომადგენელთა დეპუტაცია. ვ. ედიგარაშვილმა (მასთან იყო ნინო ანდრონიკაშვილი) გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა სტუმრებს. 5 მარტს ახალი კლუბის დარბაზში დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, კლუბის დარბაზი მშვენივრად იყო მორთული მწვანე დაფნის რტოებით და ფოთლებით. წარმოდგენამ („ხანუმა") დალოცვილ ელ. ჩერქეზიშვილის, ვ. აბაშიძის და ს. ივანიძის მონაწილეობით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი.

კარგნი იყვნენ სცენისმოყვარენი მართა ტყავაძისა, ან. მოსულიშვილისა, ს. გომელაური და ს. შავლიაშვილი. წარმოდგენის დასასრულს სცენაზე გამოიყვანეს ელ. ჩერქეზიშვილი. საზოგადოებამ დიდის ვაშას ძახილით დააჯილდოვა იგი. მიართვეს ნობათი და საჩუქრები. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სახელით პატარა, მაგრამ გრძნობიერი სიტყვით მიმართა ექიმმა ნიკოლოზ ჯანდიერმა. ბოლოს ადგილობრივი წრისა და ახალგაზრდობის სახელით მიესალმა სტუდენტი ილო მოსაშვილი"[1].

სახალხო თეატრს ოთხი სეზონის განმავლობაში ნიკო გვარაძე ხელმძღვანელობდა.

„...მე სიღნაღში გავატარე ოთხი საზაფხულო სეზონი, — წერს ნ. გვარაძე, — დასს ვხელმძღვანელობდი და

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916, № 19

ვთამაშობდი კიდეც. სიღნაღში მშვენიერი სცენისმოყვარეთა წრე იყო, რომელიც ძალიან გულმოდგინედ მუშაობდა. სიღნაღის საზაფხულო სეზონი 2½ თვეს გრძელდებოდა. ჩემ გარდა არავინ გასამრჯელოს არ იღებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველანი თავგამოდებით მუშაობდნენ და იმის მეცადინე იყვნენ, რომ პიესები რაც შეიძლება რიგიანად დაგვედგა და საზოგადოების წინაშე სირცხვილი არ გვეჭამა. სიღნაღში იმ დროს ახლად იდგამდა ფეხს თეატრალური საქმიანობა და ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობა და ინტელიგენცია მოწადინებული იყვნენ, რომ სიღნაღი საქართველოს სხვა კუთხეს არ ჩამორჩენოდა და იქაც ყოფილიყო კულტურული მუშაობა"[1].

მარტო 1916 წლის ზაფხულში მათ 15 წარმოდგენა გამართეს სიღნაღში: ვ. გუნიას „და-ძმა", შ. დადიანის „შენი ჭირიმე", ს. ბელაიას „უმუშევარნი", ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ", ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი".

აღსანიშნავია იმ დროისათვის უჩვეულო ამბავი; თითოეული დადგმა ორ-სამჯერ იქნა განმეორებული, რაც პროვინციის თეატრისათვის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ნ. გვარაძის სიტყვებს, რომ „სიღნაღის საზაფხულო სეზონი 2½ თვეს გრძელდებოდა". ამასთან თეატრის რეპერტუარი ძირითადად ქართული ორიგინალური პიესებისაგან შედგებოდა. დროთა განმავლობაში მაყუ-

---

[1] ნ. გვარაძე, მემუარები, 1949, გვ. 221

რებლის კულტურული დონე ამაღლდა და მისი მოთხოვნილებაც, ცხადია, გაიზარდა. ცენტრალურ პრესაში გაჩნდა შენიშვნები და მითითებები სპექტაკლებთან დაკავშირებით. მაგალითად:

„პარასკევს 15 აპრილს ადგილობრივმა დრამწრემ წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა". კარგი იყო ოტია — სიკო შავლიაშვილი. დანარჩენთაც პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. გადიას აღმასრულებელი მოისუსტებდა. უსურვებთ მხნეობას" („თეატრი და ცხოვრება", 1914, № 9).

„24 ივლისს სიღნაღის ახალ კლუბში სცენისმოყვარეთა წრემ ნ. გვარაძის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დადგა ბელაიას „უმუშევარნი". წარმოდგენა სუსტი იყო. ზოგმა სცენისმოყვარემ როლები არ იცოდა, რაც ხშირად ხდება. ეს მეათე წარმოდგენაა ამ ზაფხულს და ნაკლი არ გამოსწორებულა. შენიშვნა ნ. გვარაძეს: მეტი ყურადღება მიაქციოს სცენის მოწყობას და გრიმს". („თეატრი და ცხოვრება", 1916, № 32).

* * *

ცნობილია, რომ მენშევიკების ბატონობამ არაფერი შესძინა ქართულ თეატრს. თვით თბილისშიც კი ვერ მოხერხდა თეატრალური სეზონების მოწესრიგება. ქართული თეატრის კორიფეები დიდ მატერიალურ სიძნელეს განიცდიდნენ. ვასო აბაშიძე ლოგინად იყო ჩავარდნილი და არავითარი დახმარება არ ეძლეოდა. მხოლოდ მოწინავე ინტელიგენცია ზრუნავდა მის ჯანმრთელობაზე და შეწირულების სახით ეხმარებოდა.

უარესი მდგომარეობა იყო პროვინციის ქალაქებში. სიღნაღში შეწყდა თეატრის მაჯისცემა. ახლად შექმნილი სახალხო თეატრის კარგად დაწყებული მუშაობა ჩაკვდა.

1917 წელს მხოლოდ ერთი წარმოდგენა დაიდგა სტუდენტ ილო მოსაშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს თეატრალურ მუზეუმში (ფონდი № 21) დაცული აფიშა-პროგრამა გვამცნობს, რომ 1917 წელს (რიცხვი არ აწერია) საზაფხულო თეატრში პირველად წარმოდგენილი იყო მოსაშვილის რეჟისორობით მისივე ახალი პიესა „მოწყვეტილი ყვავილი“.

1918 — 1920 წლებში ნიკო გვარაძის რეჟისორობით და ელო ანდრონიკაშვილის, შალვა ღადიანის, შაქრო საფაროვის მონაწილეობით სიღნაღში სულ ხუთი წარმოდგენა გაიმართა. ახალი არაფერი დადგმულა. იმეორებდნენ ძველ, უკვე ნათამაშევ პიესებს. ამ პერიოდიდან საგულისხმოა ერთი საინტერესო ამბავი, რის გამოც ნ. გვარაძე წერს: „1920 წელს ფოთში სეზონის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი თბილისში. ზაფხულის სეზონში სიღნაღის სცენისმოყვარეების მიერ ვიყავი მოწვეული. წასვლის წინ თბილისის ქართულ კლუბში შევიარე, კიბეებზე შევხვდი ერთ მოხუც კაცს. დავაკვირდი, ძლივს ვიცანი ლადო მესხიშვილი, რომელიც რუსეთში იყო, დიდი ხანი არ შენახა და ძალიან მოტეხილიყო. ლადომ მიამბო, თუ როგორ მოაღწია საქართველომდე, რომ მატერიალურად ძალიან უჭირს და რაიმე სამუშაო უნდა მოძებნოს. მე ვუთხარი, ამ ზაფხულს სიღნაღში ვარ მიწვეული და წამოდი-მეთქი. ლადო დამეთანხმა.

შევარჩიეთ პიესა და შევთანხმდით, მე ადგილობრივ სცენისმოყვარეებს მოვამზადებდი და შევატყობინებდი, თუ როდის წამოსულიყო". როცა ეს ამბავი გვარაძემ სიღნაღის სცენისმოყვარეებს აცნობა, მათ ძალიან გაუხარდათ, რომ მესხიშვილთან ერთად ითამაშებდნენ სცენაზე. ყველას სურდა მესხიშვილის საღამო ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხელოვანის შესახვედრად ადგილობრივ ხელისუფალთ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

დადგა ლადოს სიღნაღში ჩამოსვლის დღე. საღამო ხანს, როცა ჩვეულებრივ მელაანიდან ეტლები მოდიოდნენ სიღნაღში და თბილისიდან მგზავრები მოჰყავდათ, ზემო მოედანზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. მოსწავლეები თაიგულებით მოვიდნენ. სიღნაღელები მოუთმენლად ელოდნენ ლადოს ჩამოსვლას. როგორც იქნა ნუკრიანიდან ეტლები დაეშვნენ, მაგრამ ლადო არ ჩანდა. ბოლოს ნუკრიანის გზაზე უკანასკნელი ეტლი გამოჩნდა რომელშიც მეზურნეები ისხდნენ, სამგზავრო ჰანგს უკრავდნენ და არემარეს აყრუებდნენ. ხალხმა იფიქრა, ეს რა მაყრიონი მოდისო. როგორც კი ეტლი მოედანს მიუახლოვდა და შეკრებილი ხალხის წინ გაჩერდა, ეტლიდან ლადო მესხიშვილი გადმოვიდა. შეხვედრამ საზეიმო ხასიათი მიიღო. გამოირკვა, რომ ლადოსთან ერთად (ერთ ვაგონში) სიღნაღელ მეზურნეებს უმგზავრიათ. ვინაიდან მაშინ ბილეთების შოვნა ძნელი იყო, თურმე ერთი მეზურნე უბილეთოდ მგზავრობდა და მატარებლის რევიზორი მას აჯარიმებდა. უფროს

მეზურნეს მესხიშვილი უცვნია და უთხოვია, გვიშუამდგომლე, რომ არ დაგვაჯარიმონო, ლადომ უშუამდგომლა მათ და მეზურნეები აღარ დააჯარიმეს. სამაგიეროდ ლადო მელაანიდან სიღნაღამდე დაფა-ზურნით ჩამოიყვანეს.

მეორე დღეს საზაფხულო თეატრში დაიდგა მანსფილდის „შეშლილი“. პირველ წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. სცენაზე ლადოს გამოჩენას მაყურებელი ოვაციით შეხვდა. იმავე ღამეს საზაფხულო თეატრის დარბაზში ექიმ ნიკოლოზ ჯანდიერის თაოსნობით დიდი ბანკეტი გაიმართა (ნ. ჯანდიერი და ლ. მესხიშვილი ახალგაზრდობიდანვე კარგი მეგობრები ყოფილან). ბანკეტს ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია დაესწრო და ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა. სიღნაღელების ასეთი პატივისცემით ლადო აღტაცებული დარჩა. იგი მეორე წარმოდგენაში მონაწილეობას არ აპირებდა, მაგრამ საზოგადოებრიობის თხოვნას დაჰყვა. მეორე სპექტაკლი იყო ორმოქმედებიანი დრამა „დონ პიეტრო“, რომლის შემდეგ ლადომ გრიმითა და კოსტიუმით, ჩვეული ოსტატობით გოგოლის „შეშლილის წერილები“ წაიკითხა. საზოგადოება ორივე საღამოთი დიდად კმაყოფილი დარჩა.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე პარტიის ზრუნვის მთავარი საგანი იყო ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესე-

ბა, კულტურული დონის ამაღლება და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. 1921 წლის მარტში სიღნაღში ჩამოვიდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი. შეკრიბეს ის ადამიანები, ვისაც ოდესმე მონაწილეობა მიეღო წარმოდგენებში, აგრეთვე ადგილობრივი ინტელიგენცია: მასწავლებლები, ექიმები, ძველი რევოლუციონერები და აირჩიეს „რაბისის“ სიღნაღის სამაზრო განყოფილება — მსახიობ ვასო ალუღიშვილის თავმჯდომარეობით. მას შემდეგ ეს კავშირი ჩაუდგა სათავეში მაზრაში საღამოწარმოდგენების მოწყობის საქმეს.

იმავე თვეში სიღნაღში მუშაობა დაიწყეს დრამატულმა და საოპერეტო სექციებმა. „რაბისის“ წევრებს ყოველდღიურად პურის და დროგამოშვებით სურსათის ულუფა ეძლეოდათ. ვიდრე სექციები წარმოდგენებს გამართავდნენ, სცენისმოყვარეებს ავანსები დაურიგეს.

საქართველოს თეატრალურ მუზეუმში(ფონდი 21, საქმე 6 — 15682) დაცულია 1921 წლის 19 აპრილით დათარიღებული, სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ბეჭედდასმული ამ სექციების ხელნაწერი სიები, რომლებიც განსახკომის „მთავარხელოვნებაში“ იყო წარმოდგენილი. სად მუშაობდნენ ეს თეატრალური სექციები და რა პიესებს დგამდნენ?

1921 წლის 19 თებერვალს სიღნაღში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საზოგადო საკრებულო მუშათა კლუბად გადაკეთდა. მართალია, მისი სცენა ძალზე პატარა იყო და მაყურებელთა დარბაზი 200

კაცს ძლივს იტევდა, მაგრამ მას ჰქონდა დამხმარე ოთახები. ახალი კლუბი თავისი საზაფხულო ნაგებობით პირველ ხანებში ქართული სექციის განკარგულებაში იყო. იქვე მუშაობდა რუსული სექცია, რომელიც არცთუ ისე ხშირად მართავდა წარმოდგენებს; რუსული სექცია არსებობდა უმთავრესად მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილების მომსახურებისათვის და სიღნაღიდან მათი წასვლის შემდეგ თანდათანობით შეწყვიტა არსებობა, რადგან სიღნაღში რუსი მოსახლეობა ცოტა იყო.

არც ახალი კლუბის სცენა და დარბაზი იყო დიდი. მალე ეს შენობა სხვა ორგანიზაციას გადაეცა და ქართული წარმოდგენები სკოლის სათეატრო დარბაზში იმართებოდა; იქ სცენაც მოზრდილი იყო და დარბაზში 300-ზე მეტი მაყურებელი ეტეოდა.

მუშათა კლუბში საოპერეტო სექცია ბარხუდაროვის ხელმძღვანელობით მუშაობდა, აქვე იმართებოდა კრებები, საცეკვაო საღამოები და აჩვენებდნენ კინოსურათებს. ხოლო როდესაც საოპერეტო სექციაც დაიხურა, ქართული სექცია მთლიანად ამ კლუბში გადავიდა. ქართული სექციის რეპერტუარში შედიოდა: ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, ნ. შიუკაშვილის „გამხმარი ფოთოლი“, „სულელი“ და „მეგობრობა“, ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“, ა. ცაგარლის „ხანუმა“ და „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. გუნიას „და-ძმა“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, ა. ჯაჯანაშვილის „გაწყვეტილი სიმი“ და სხვა.

რუსულმა სექციამ დადგა: ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ა. ჩეხოვის „დათვი“ და „ხელის თხოვნა“, მართავდა აგრეთვე საკონცერტო საღამოებს.

საოპერეტო სექცია ქართულ და სომხურ ენაზე დგამდა: „უ. ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალანს“ და „მაშტეიბადს“, მ. ტერ-არაქელიანის „აშუღ ყარიბს“, გ. შარბაბჩიანის „საიათნოვას“, ა. აივაზიანის „გვიან იყოს ტკბილი იყოს“ და სხვა. ამ ოპერეტების ქართული თარგმანი ეკუთვნოდა სიღნაღელ მასწავლებელს ა. ნონეზოვს.

სამივე თეატრალური სექცია შეხმატკბილებულად მუშაობდა და ერთმანეთს ეხმარებოდა. პატარა სიღნაღში ერთ ღამეს ორივე კლუბში წარმოდგენის გამართვა უშედეგო იქნებოდა, რადგან ცოტა მაყურებელი დაესწრებოდა, ამიტომ სექციების ხელმძღვანელები ერთმანეთს უთანხმებდნენ, თუ ვის როდის გაემართა წარმოდგენა.

გვახსოვს, ერთ რუსულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვიდან ჩამოსულმა რეჟისორმა და მსახიობმა, ჩვენმა თანამემამულემ გიორგი ჯავაშვილმა. იგი სიღნაღის რაიონის სოფელ ასანურში, გლეხის ოჯახში დაიბადა და მოსკოვის ვ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ქართულ სტუდიაში სწავლობდა. სტუდიის დამთავრების შემდეგ გ. ჯავაშვილი რეჟისორად მუშაობდა თბილისის მუშათა თეატრში. გარდა ამისა, მას დადგმები ჰქონდა სხვა თეატრებშიც.

გ. ჯავაშვილმა რუსულიდან გადმოაქართულა მასისა და კულიჩენკოს კომედია „აყვავებულ ბაღში“, რომელიც საქართველოს ყველა რაიონულ თეატრში დაიდგა.

1940 წლის ზაფხულში ეს პიესა ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით დაიდგა გურჯაანის რკინიგზის კლუბში და თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადაზეც წარმოადგინეს. კლუბის თეატრალურმა კოლექტივმა საკავშირო ჟიურის დიპლომი დაიმსახურა, ხოლო რეჟისორმა ქების სიგელი.

სიღნაღის ქართული თეატრალური სექცია გასვლით წარმოდგენებსაც მართავდა ახლო სოფლებში, ხოლო საოპერეტო სექცია 1922 წლის ზაფხულში ერთი კვირის განმავლობაში ლაგოდეხში იმყოფებოდა საგასტროლოდ.

იმ დროს სიღნაღში, საქველმოქმედო მიზნით, მოსწავლეთა წარმოდგენებიც იმართებოდა.

1923 წლის ზაფხულში სიღნაღის საზოგადოებრიობამ ქართული თეატრის ცნობილ მსახიობს, რეჟისორსა და დრამატურგს შალვა დადიანს სკოლის სათეატრო დარბაზში სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაუმართა. დაიდგა იმ დროს საკმაოდ გახმაურებული შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი“. გეგეჭკორის როლი ნიკო გვარაძემ შეასრულა, ხოლო დადიას როლი თვით შალვამ. ქალაქის მოსახლეობა გულთბილად შეხვდა ღვაწლმოსილ ხელოვანს.

1923 — 1924 წლებში საქართველოს არც ერთი მაზრის სოფლებში არ იყო იმდენი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც სიღნაღის მაზრაში.

1924 წლის ივნისში სოფელ ანაგაში გაიხსნა პირველი სახალხო სახლი, რაც დიდი მოვლენა იყო. ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლად ახალი ადა-

მიანების აღზრდაში. საზეიმო გახსნაზე სტუმრები ჩამოვიდნენ თბილისიდან, სიღნაღიდან, თელავიდან, ყვარელიდან, გურჯაანიდან, წითელწყაროდან და სხვ. თბილისის სახალხო სახლის დასმა ნიკო გოცირიძის მონაწილეობით დადგა ტრ. რამიშვილის „მეზობლები“. ვანო სარაჯიშვილმა ამ ზეიმზე უკანასკნელად იმღერა.

ანაგის თეატრის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ანაგელმა ძველმა ბოლშევიკებმა: გიორგი მირიანაშვილმა და ბესო ბილანიშვილმა. აგრეთვე სოფლის ექიმმა ი. დარჩიაშვილმა, აფთიაქის პროვიზორმა ვიქტორ ედიგარაშვილმა და სხვებმა.

20-იანი წლების დამლევს სიღნაღის მაზრაში პირველი საკლუბო შენობა აშენდა დაბა წნორში. წლების მანძილზე მას განაგებდა და პიესებს დგამდა ა. სულაძე.

ბოდბისხევის კლუბი, რომელიც 1914 წელს თბილისის მოძრავი თეატრის დასმა გახსნა ა. წერეთლის „პატარა კახით“, 1924 წელს კაპიტალურად შეკეთდა. ამ კლუბში დაიდგა ა. ყაზბეგის „არსენა“, შ. დადიანის „ბატონი და ყმა“ (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ მიხედვით), დ. მეგრელის „სიკვდილ-სიცოცხლე“, ა. ცაგარლის „ოინბაზი“ და სხვა პიესები.

ამავე წლის ზაფხულში კლუბი გაიხსნა სოფელ ნუკრიანის სკოლის ახალი შენობის ზედა სართულში. გახსნის დღეს დაიდგა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“.

სოფ. კარდანახში ჯერ კიდევ 1884 წლის ზაფხულში ადგილობრივი სკოლის მასწავლებელ ციხკარიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა დრამწრე. დადგეს ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ და ა. წერეთ-

ლის „ბაიყუში“. მას შემდეგ სოფლის კლუბში სისტემატურად იმართებოდა საქველმოქმედო წარმოდგენები.

ამ დროს უკვე მიმდინარეობდა ქვემო მაჩხაანის სახალხო სახლის მშენებლობა, რომლისთვისაც სახსრების შეგროვება მეცხრამეტე საუკუნის დამლევს დაიწყო. მის მშენებლობაში შრომითი მონაწილეობა მიიღო ქვემო ქიზიყის სოფლების თითქმის მთელმა მოსახლეობამ. ქვემო მაჩხაანის თეატრი 1926 წელს გაიხსნა და მაზრის სასოფლო კლუბებს შორის ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი იყო.

საკუთარი სათეატრო შენობები ჰქონდათ ველისციხეს, ლაგოდეხს, წითელწყაროს და გურჯაანს, რომელთა შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

1924-25 წლის სეზონში სიღნაღის დასი სამაზრო განათლების განყოფილების სისტემაში შედიოდა. მას ჯერ ილო მოსაშვილი ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი გიორგი ვარვარიძე. სეზონი 1925 წლის 24 იანვარს გაიხსნა პ. ირეთელის „ქრისტინეთი“. ერთ თვეში ოთხი წარმოდგენა გაიმართა.

1925 წლის 11 ივლისს სკოლის თეატრალურ დარბაზში ილო მოსაშვილმა დადგა ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ძველი და ახალგაზრდა სცენისმოყვარენი: ქრისტეფორე, მ. ანდრონიკაშვილი, მ. ვარვარიძე, ა. ალავერდაშვილი, ეკვთ. წულაძე, მ. ხუციშვილი, ა. ოსეფოვი, ილო მოსაშვილი გ. ფხოველიშვილი, გ. ლეიაშვილი, ა. ბაღაშვილი, ს. შავლიაშვილი, ა. ოჰანეზაშვილი, ნ. ჩერემისოვი, გ. მენთეშაშვილი, გარიყული.

1925 წლის ივლისში კახეთში საგასტროლოდ იმყოფებოდა თბილისის წითელი თეატრი. დასში იყვნენ ახალგაზრდა მსახიობები: თამარ კიკნაძე, მერი ერგნელი, ნუნუ შარაშიძე, ნინო მუხრანელი, მარო მელქოევა, გაიოზ მელიავა, დიმიტრი გაგუა, ივანე გვინჩიძე, ალექსანდრე ყიასაშვილი, მიხეილ იარალი, ალიოშა ლოლუა, ნიკო ილურიძე, ვალიკო ნუცუბიძე, ანატოლი კოსტავა, აკაკი ინჯია, პლატონ შაფათავა, გრიშა მებურნუთიშვილი, ვალ. ჩომახიძე და სხვა, ტექნიკურ რეჟისორ ნიკოლოზ ჭანკვეტაძის მეთაურობით, სულ 25 კაცი.

რეპერტუარში ორი სპექტაკლი იყო: ჭ. გელეიშვილის „ჯანყი გურიაში", ალ. წუწუნავას დადგმით, და ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", დ. კობახიძის დადგმით.

პირველი წარმოდგენა ანაგის ახლად გახსნილ სახალხო სახლში გაიმართა. დაიდგა „ჯანყი გურიაში", რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ვინაიდან დარბაზში ყველა მსურველი ვერ დაეტია, გლეხები თეატრის ეზოდან (ღია კარიდან) უსმენდნენ. სპექტაკლმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, რომ ერთი გლეხი ეზოდან ხანჯლით შემოვარდა დარბაზში, თავად ივანეს მოკვლა უნდოდა, რადგან ის გლეხთა ბელადს, ბესიას მოსაკლავად ეპარებოდა. ამ ამბავმა ცოტა ხნით შეაფერხა წარმოდგენის ჩვენება.

მეორე დღეს წარმოდგენილი იქნა „ცხვრის წყარო". კარგი მასპინძელი გამოდგა სოფლის ინტელიგენცია, ვიქტორ ედიგარაშვილის მეთაურობით, რომელიც ამ თეატრის გულშემატკივარი იყო. მისი ინიციატივით

დეკორაციები და მთელი აქსესუარი საკუთარი ტრანსპორტით გადაიტანეს სიღნაღში. აქ პირველ დღეს „ცხვრის წყარო“ დაიდგა, მეორე დღეს კი — „ჯანყი გურიაში“. ორივე სპექტაკლზე დარბაზი სავსე იყო ხალხით. აქაც ისევე, როგორც ანაგაში, ვინც ბილეთი ვერ იშოვა, ქალაქის მოედანზე ღია ფანჯრებიდან უსმენდა წარმოდგენებს.

1926 წელს, ეს ის პერიოდი იყო, როცა გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო პროლეტკულტის სტუდიის პირველი გამოშვება და წითელი თეატრის სეზონის დახურვის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორს შესთავაზეს სიღნაღის თეატრის ხელმძღვანელობა. რის შემდეგაც იგი სამაზრო პროფბიურომ მუშათა კლუბის გამგედ და რეჟისორად დანიშნა.

ჩვენი პირველი დამოუკიდებელი დადგმა იყო ნ. გერგესელის პიესა „ნიღაბქვეშ“. ეს პიესა სიღნაღის შემდეგ ანაგის სახალხო სახლში ვითამაშეთ. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ძველი სცენისმოყვარენი: მართა ტყავაძე, მაკა ანდრონიკაშვილი, სიკო შავლიაშვილი, ექვთიმე წულაძე [1]. ახალგაზრდობიდან მონაწილეობდნენ არმენა ოსეფოვი, მიტო ხუციშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

სიღნაღის მუშათა კლუბის პატარა სცენა დიდი პიესების დადგმის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამიტომ, კლუბის გამგეობამ გადაწყვიტა მუშაობა დაეწყო იმ

---

[1] ე. წულაძე მაზრის სამხედრო კომისარი იყო და სცენაზეც თამაშობდა

დროს საკმაოდ პოპულარული ლურჯხალათელთა კოლექტივით. ახალგაზრდებისაგან შევადგინეთ კოლექტივი „ცოცხალი გაზეთი“. შევაკერინეთ ყველასათვის ლურჯი ხალათები და დავამზადებინეთ სამკერდე ნიშნები, პირველი პროგრამისათვის თბილისიდან (კოოპთეატრიდან) ჩამოვიტანეთ მცირე ფორმის პიესები — პოეტ ნიკოლოზ ჩაჩავას სკეტჩები, საესტრადო ნომრები და მუშაობა დავიწყეთ.

მოკლე დროში ახალგაზრდა სცენისმოყვარენი ისე გაიწაფნენ, რომ პოპულარობა მოიპოვეს და მათ წარმოდგენებს მუდამ დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა. მალე ახალგაზრდებს ძველი სცენისმოყვარეთა მნიშვნელოვანი ნაწილიც შემოუერთდა და შესაძლებლობა შეიქმნა სერიოზული პიესების დადგმისა. ამისათვის საჭირო გახდა სცენის რეკონსტრუქცია, წინ ავანსცენა გაკეთდა, სცენის უკან კარი ბიბლიოთეკის ფართო ოთახში გადიოდა — ეს კარი გაიხსნა და სცენა გაფართოვდა.

ერთი სიტყვით, დიდი გამომგონებლური ნიჭი იყო საჭირო, რომ ამ პატარა სცენაზე ახალგაზრდა მხატვრებს დიდი პიესები გაეფორმებინათ. ამ პიესათა შორის პირველი იყო ტ. რამიშვილის „მეზობლები“, რომელსაც მაშინ დიდი წარმატება ჰქონდა. დაიდგა მისივე პიესა „გაჭირვების ტალკვესი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ი. ბოხუას „ძმის მკვლელი“, უ. ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“. ეს ოპერეტა რევოლუციამდეც ხშირად იდგმებოდა. მაგრამ მხატვრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ახალი დადგმა გამოირჩეოდა გა-

ფორმებით და მიზანსცენებით. იდგმებოდა აგრეთვე შ. დადიანის „გეგეჭკორი“, ნ. შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“, გ. ბუხნიკაშვილის „შეშინებული ანთიმოზი“.

მალე დაწინაურდნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარენი: თამარ მენთეშაშვილი, ნინო ბეგიაშვილი, ალექსანდრა (საშა) შაიშმელაშვილი, ქეთო ბოგვერაძე, კოტე ჭრელაშვილი, გიგო ფხოველიშვილი, მიტო ხუციშვილი, მიტო ნაცვლიშვილი, მიტო შავლიაშვილი, სოლომონ ზაქარიაშვილი, სერგო ბაშინჯაღოვი, არმენ ოსეფოვი, დავით შაიშმელაშვილი, ვლადიმერ სიფრაშვილი, გიორგი ბეჟაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, ვანო მაზიაშვილი, ალექსანდრე მინასოვი, იოსებ ხუციშვილი, ვანო ხეჩუმოვი.

სპექტაკლებს მხატვრულად აფორმებდა სოსო ბეგიაშვილი, მაგრამ ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“ და შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“ გააფორმეს თბილისის მოსე თოიძის სტუდიის მოსწავლეებმა, სიღნაღელმა ახალგაზრდებმა იოსებ ბეჟაშვილმა და ნიკოლოზ ოსკანოვმა.

ზოგიერთი ზემოჩამოთვლილი დადგმის შესახებ ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ინფორმაციები და რეცენზიები.

1927 წლის გაზაფხულზე, დრამწრის ნაყოფიერი მუშაობისა და სცენისმოყვარეთა წახალისების მიზნით, კლუბის გამგეობის შუამდგომლობით და სამაზრო პროფბიუროს გადაწყვეტილებით 15 კაცისაგან შემდგარი სცენისმოყვარეთა ჯგუფი ერთი კვირით მივლინებულ იქნა თბილისში, ექსკურსიაზე. ძირითადი ხარჯები პროფ-

საბჭომ გაიღო, ნაწილი კი კლუბის შემოსავლიდან დაიფარა. ექსკურსანტებმა რუსთაველის სახელობის თეატრში ნახეს ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და გლებოვის „ზაგმუკი“.

ზოგიერთ სცენისმოყვარეს არც კი სჯეროდა, რომ პატარა, მეტად მეტყველი მწერლის როლში მათი თანამემამულე ვასო გოძიაშვილი იყო, რომელიც წინა საღამოს მხიარულ კინტოს როლს ასრულებდა.

ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ, 1927 წლის 6 მაისს სეზონი დაიხურა შ. დადიანის „გეგეჭკორით“. სეზონი ასე ადრე იმიტომ დაიხურა, რომ კლუბის შენობაში პარტიის სამაზრო კომიტეტი უნდა გადმოსულიყო და ვიდრე თეატრს ააშენებდნენ კლუბის ჭონება დროებით სხვა შენობაში იქნა გადატანილი.

იმხანად სიღნაღის მაზრის სოფლებში წარმოდგენებს მართავდა ქართული თეატრის ძველი მსახიობი ვიქტორ მატარაძე, რომელსაც სიღნაღის ზოგიერთი ახალგაზრდა სცენისმოყვარე ეხმარებოდა და აგრეთვე მისი მეუღლე, მსახიობი ალექსანდრა ივერიელი.

სიღნაღში თეატრის აშენების შესახებ ჯერ არაფერი ისმოდა. მხოლოდ ქალაქის ქვემო მოედანზე, სამაზრო პროფბიუროს შენობის ქვედა სართულში (გადაკეთებულ დარაბებში) ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის სახელობის „აკის“ კლუბი მუშაობდა, რომელსაც ძალზე პატარა სცენა და დარბაზი ჰქონდა.

როდესაც ჩვენს თანატოლ სცენისმოყვარეებს იმ ზაფხულს სიღნაღში შევხვდით, მათ სურვილი გამოთქვეს მოგვემზადებინა რომელიმე პიესა და სკოლის

დარბაზში დაგვედგა. ვინაიდან სწავლა დაწყებული იყო და მხოლოდ კვირაობით შეიძლებოდა წარმოდგენის გამართვა, გამოითქვა აზრი, რომ პირველი წარმოდგენის შემდეგ კოლექტიურ საწყისებზე მთელ კახეთში გვემოგზაურა.

გასაგები იყო გამოცდილ სცენისმოყვარეთა სურვილი: ისინი მოწყენილი იყვნენ, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში სცენაზე არ გამოსულან. პიესის შერჩევაზე ბევრი არ გვიფიქრია, რადგან ნ. შიუკაშვილისაგან ახლად მიღებული გვქონდა „ამერიკელი ძია". ყველამ ერთსულოვნად მოიწონა ეს პიესა.

სპექტაკლისათვის დეკორაციები „აკის" კლუბის მხატვარ ბრონსკიმ გააკეთა. ბრონსკი რუსულ სცენაზე ნათამაშევი იყო და ქართულიც იცოდა, ამიტომ მას დაეკისრა ამერიკელ მისტერ ჯონის როლი. დანარჩენი მთავარი როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: არშაკ მინაიჩ — მ. იარალი, ზანდუხტა — მ. ანდრონიკაშვილი, კომბალა — გ. ფხოველიშვილი, კვაჭი კვაჭანტირაძე — კ. ჭრელაშვილი, კინტოები — მ. შავლიაშვილი და მ. ნაცვლიშვილი, ქიტესა — მ. ხუციშვილი, მართა — თ. მენთეშაშვილი და სხვა. პრემიერას დიდძალი მაყურებელი დაესწრო და მოითხოვდა მის განმეორებას. ჩვენ შევპირდით, რომ გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ წარმოვადგენდით ამ სპექტაკლს.

მოგზაურობაში 20-მდე კაცი იყო. პირველი წარმოდგენა თელავში გაიმართა, რომელსაც აუარებელი მაყურებელი დაესწრო. სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა. გურჯაანის რკინიგზის კლუბის სავსე დარბაზშიც

წარმოდგენამ მოწონება დაიმსახურა. ველისციხეში დანი აღარ ჩასულა, რადგან რეჟისორმა ალ. ჯაყელმა შემოთვალა, რომ „ამერიკელ ძიას“ ჩვენც ვამზადებთო. სიღნაღში დასმა, მაყურებელთა თხოვნით, სპექტაკლი გაიმეორა. ლაგოდეხში და წითელწყაროში სპექტაკლები არ გაიმართა, რადგან რკინიგზა არ უდგებოდა და ტრანსპორტის ხარჯებისათვის შემოსავალი არ ყოფნიდა.

სიღნაღის სცენისმოყვარეთა 1927 წლის მოგზაურობა პირველი საგასტროლო გამგზავრება იყო მაზრის გარეთ.

სიღნაღის თეატრის მშენებლობის საკითხი გადაიდო. ვინაიდან სხვა გამოსავალი არ იყო, სკოლის პირველ სართულზე რამდენიმე საკლასო ოთახი გააერთიანეს, წინ პატარა ვესტიბიული მიუშენეს და ორსართულიან პატარა სცენას მბრუნავი წრე გაუკეთეს. სცენას არც კულისები და არც დამხმარე სათავსოები არ ჰქონდა. ეზოდან კარი პირდაპირ სცენაზე გადიოდა. მაყურებელთა დარბაზი 250 კაცს იტევდა. შეიკერა მრავალი კოსტიუმი, როგორც ქართული ისე კლასიკური პიესებისათვის (გამოყენებული იქნა წმინდა ნინოს მონასტრიდან კონფისკაციაქმნილი ძვირფასი ფართლეული, რომელიც თეატრს უსასყიდლოდ გადაეცა).

გაკეთდა ახალი ავეჯი და დაიხატა ახალი დეკორაციები.

1928 წლის გაზაფხულზე აქ გაიხსნა მიხა ცხაკაიას სახელობის სახალხო სახლი. პოლიტიკური განათლების დრამატულმა დასმა ვიქტორ მატარაძის ხელმძღვანელო-

ბით დადგა სანდრო შანშიაშვილის „ჰერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვიდი“). ერთ-ერთ მთავარ როლს, ბაბულის ასრულებდა მოწვეული მსახიობი ნუნუ მაჭავარიანი. დაიდგა აგრეთვე ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“, ვ. გუნიას „აღლუმი“, შ. დადიანის „მზის ამოსვლამდე“, ნ. აზიანის „დეზერტირკა“.

ყველა ეს პიესა თეატრის შენობის მშენებლობის პარალელურად მზადდებოდა და ამიტომ ზედიზედ ხუთი პიესა დაიდგა.

რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო დასმა მუშაობა შეწყვიტა.

1928 წლის ივნისში ახლად გახსნილ სახალხო სახლში მხოლოდ კინოსურათებს აჩვენებდნენ. სცენისმოყვარეთა უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. მათი თხოვნით ივლისის ბოლო რიცხვებში დაიდგა ა. ლუნაჩარსკის „მეფის დალაქი“, მ. იარალის რეჟისორობით.

ამავე ზაფხულში ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით მოქმედმა მოძრავმა თეატრმა სიღნაღში გამართა რამდენიმე წარმოდგენა. დაიდგა ბ. ლავრენიევის „რღვევა“ და ვ. გუნიას „აღლუმი“. ამ მოძრავ დასში იყვნენ ქართული თეატრის ცნობილი და ახალგაზრდა მსახიობებიც: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, დავით ჩხეიძე, პაშა შოთაძე, მერი დავითაშვილი, ნიკო გვარაძე, დუდე ძნელაძე, შაქრო და ალექსანდრე გომელაურები და სხვა. წარმოდგენები მათ სოფლებშიც (ანაგაში, მაჩხაანში, გურჯაანში, ველისციხეში) გამართეს.

1928 წელს ნუნუ მაჭავარიანი და ახალგაზრდა მსა-

ხიობი (იმხანად რეჟისორის თანაშემწე) ვახტანგ ვიქტორის ძე ჩელთისპირელი (მატარაძე) შესანიშნავად გამოვიდნენ სპექტაკლში „მათრახის პანაშვიდი". რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნუნუ მაჭავარიანმა კოტე მარჯანიშვილის მეშვეობით აიდგა ფეხი ქუთაისსა და თბილისის სცენაზე. მომდევნო წლებში ის სოხუმის, ცხინვალის და თელავის თეატრებში მსახიობად და დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა. ნ. მაჭავარიანი ერთხანს სიღნაღის კულტურის სახლის თეატრალურ კოლექტივსაც ხელმძღვანელობდა. ხოლო რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვახტანგ ჩელთისპირელი სიღნაღის შემდეგ ველისციხის თეატრში მუშაობდა, შემდეგ თელავის თეატრში გადავიდა. საგულისხმოა, რომ მისი აკვანი, როგორც მსახიობისა, სიღნაღის თეატრში დაირწა.

გარდა ამისა, 1928 წელს პირველად სიღნაღის თეატრში გამოვიდა მოსწავლე, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი — კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი. იგი მშობლიურ სიღნაღის თეატრის ბევრი დადგმის მუსიკალური გაფორმების ავტორია, რომელთა შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი.

1928 წლის ზამთრის სეზონი ლაგოდეხში გაიხსნა ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძიათი". დაიდგა აგრეთვე ტ. რამიშვილის „მეზობლები" და „გაჭირვების ტალკვესი", პ. ირეთელის „ქრისტინე" (ეგ. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით).

მიუხედავად იმისა, რომ შუა ზამთარში (1929 წლის თებერვალში) ძნელი იყო ლაგოდეხიდან სიღნაღში

წასვლა, ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც ლაგოდეხში მუშაობდა, დათანხმდა სიღნაღის თეატრში მიწვევაზე. მაშინ სიღნაღში ცალკე კინოთეატრი არ იყო და თეატრის შენობაში აჩვენებდნენ კინოსურათებს, რაც აფერხებდა დასის მუშაობას, მით უმეტეს, რომ თეატრს სარეპეტიციო ოთახი არ ჰქონდა. საჭირო იყო სეზონის გახსნისათვის პიესის არჩევა. გათვალისწინებული იყო სიღნაღის თეატრის დასის კარგი შემადგენლობა და სცენისმოყვარეთა უმრავლესობის გამოცდილება (დასში 32 ადგილობრივი მსახიობი იყო), აგრეთვე თეატრის კარგი გარდერობი, რომელიც 1928 წელს იქნა შეძენილი. ამიტომ არჩევანი „ცხვრის წყაროზე" შეჩერდა. რაიონული თეატრების ახალგაზრდა რეჟისორები მუშაობაში ვხელმძღვანელობდით და ხშირად „ვბაძავდით" რუსთაველის თეატრს, კ. მარჯანიშვილს, ა. ახმეტელს.

მართალია, წითელ თეატრში დადგმულ „ცხვრის წყაროს" ტექსტი დასს ხელთ ჰქონდა (ოდნავ შეკვეცილი), მაგრამ დადგმა კოტე მარჯანიშვილისებურად იყო გადაწყვეტილი და მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო იგი. მთავარ როლებს ასრულებდნენ: კ. ჭრელაშვილი (ფრონდოზო), თ. დაქიშვილი, შემდეგ ც. ნასიძე, (ლაურენსია), მ. იარალი (მენგო), ტ. ბეჟანოვი (ბარილდო), ა. შაიშმელაშვილი (პასკუალა), თ. მენთეშაშვილი (ხასინტა), მ. ნაცვლიშვილი (კომანდორი), გ. ნუბაროვი (ესტევანი) და სხვა.

სეზონი გაიხსნა მარტის დამლევს. „ცხვრის წყარო" რამდენჯერმე იქნა განმეორებული. მომდევნო დადგმები იყო: ს. შანშიაშვილის „სპარტაკი", გ. ბუხნიკაშვი-

ლის და შარლის „კომისარი მოსკოვიდან“, ნ. შიუკა-შვილის „ამერიკელი ძია“ და სხვა.

სცენის სივიწროვე და დამხმარე ოთახების უქონლობა ძალიან უშლიდა ხელს ნორმალურ შემოქმედებითს მუშაობას. 1929-30 წლის სეზონი ადრე დაიხურა, ქალაქის საბჭომ თეატრის რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი თანხა გამოყო.

1930 წლის გაზაფხულზევე სცენას სარეპეტიციო ოთახი მიუშენეს. სკოლის საკლასო ოთახი (სცენის გვერდით), რომელსაც მხოლოდ წარმოდგენის დროს გრიმების გასაკეთებლად იყენებდნენ მსახიობები, მთლიანად თეატრს გადაეცა. ამ საკმაოდ დიდ ოთახში საგრიმიოროები და დეკორაციების სათავსო მოეწყო. სცენიდან ამ ოთახში ორი მაღალთაღიანი გასასვლელი გაიჭრა. იქიდანვე სცენის ქვეშ ჩასასვლელი კიბე გაკეთდა (მანამდე ორკესტრში პარტერიდან შედიოდნენ, რაც ძალზე მოუხერხებელი იყო), სცენის მბრუნავ წრეს კონსტრუქციულად იყენებდა სიღნაღის ახალგაზრდა მკვიდრი, მეტად ნიჭიერი მხატვარი ვართან ფარემუზოვი. მის მიერ დამზადებული ბუტაფორია-რეკვიზიტი მრავალი წლის განმავლობაში ამშვენებდა და ამშვენებს სიღნაღის თეატრს.

1930 წელს ყოფილ სიღნაღის მაზრაში შვიდი მძლავრი თეატრალური კოლექტივი მუშაობდა: ქვემო მაჩხაანში — მსახიობების ნინო ნინონისა და გიგა მატარაძის ხელმძღვანელობით; წითელწყაროში — საქნავთის მუშათა კლუბის თეატრალური კოლექტივი ი. ავტალიდის ხელმძღვანელობით; ლაგოდეხში — ყოფილ საკრე-

ბულოს შენობაში საშუალო სკოლის დირექტორის პ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით; ველისციხეში — რეჟისორ ს. მებურიშვილის ხელმძღვანელობით; გურჯაანის რკინიგზის კლუბში — ჯერ ბ. ლითანიშვილის, ხოლო შემდეგ ძველი სცენისმოყვარის ა. გოგაშვილის ხელმძღვანელობით; ანაგის სახალხო სახლში — ილო თევდორაშვილის ხელმძღვანელობით, სიღნაღის თეატრი — მ. იარალის ხელმძღვანელობით.

ამ კოლექტივებში იდგმებოდა: „მსხვერპლი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „მეზობლები“, „გაჭირვების ტალკვესი“, „სიმახინჯე“; „სულელი“, „რღვევა“ და სხვა ძველი და ახალი პიესები.

1929 წლიდან სიღნაღის თეატრი დოტაციას რაიონის ბიუჯეტიდან იღებდა.

1930 წლის ზაფხულში სიღნაღს საგასტროლოდ ეწვია თელავის თეატრის კოლექტივი მსახიობ ალ. ყიასაშვილის ხელმძღვანელობით. დადგეს პ. დე კურსელის „ორი ჯიბგირი“.

1930-31 წლის სეზონი უკვე რეკონსტრუირებულ თეატრში გაიხსნა. დასის პროფესიული დონის ასამაღლებლად ტარდებოდა სტუდიური მეცადინეობები, სადაც ახალგაზრდა მსახიობები თანდათან ეუფლებოდნენ მსახიობის ხელოვნებას.

საჭირო იყო შემოქმედებითი მუშაკთათვის მტკიცე დისციპლინის შემოღება. თეატრის ტიპობრივი შინაგანაწესის შესაბამისად, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, შემუშავდა სიღნაღის თეატრის შინაგანაწესი და თითოეულ მსახიობთან ინდივიდუალური ხელშეკრუ-

ლება დაიდო. დისციპლინის განმტკიცების ეს ღონისძიება ზოგიერთს პირველ ხანებში ეუცხოვა, განსაკუთრებით ძველ სცენისმოყვარეებს, მაგრამ მალე ყველა შეეჩვია ახალი წესით მუშაობას.

მოწვეული იყვნენ პროფესიონალი მსახიობები ნინო ბეროზაშვილი და გიორგი ვილვილიანი. დაწინაურდნენ ახალგაზრდები: ცირა ნასიძე, თამარ დაქიშვილი, საშა შაიშმელაშვილი, მარგო ომბეთელაშვილი, ირაკლი მოლოდინი, შალვა ზედელაშვილი, ილია სიმონიშვილი, არტემ დავითიანი, არამ მარტიროსოვი, ტიგრან ბეჟანოვი, ვალიკო ბეჟაშვილი, ვასო ქრისტესაშვილი, ილო კოკილაშვილი, იოსებ ხუციშვილი, გიორგი ბახუტაშვილი, ნინო მდივანოვი, რეჟისორის თანაშემწეები: დავით ლომიძე და ონისიმე მოსაშვილი. მოკარნახე გრ. იარალოვს მალე პიესა „ლამარაში" იჩოს როლი დაეკისრა. გაძლიერდა ტექნიკური პერსონალიც. მტკიცე ხელფასზე მუშაობდნენ: გარდერობის გამგე ანიკო შინჯიაშვილი, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე განუწყვეტლივ სიღნაღის თეატრს ემსახურებოდა, სცენის მემანქანე-დეკორატორი გიორგი გოზალიშვილი, გამნათებელი დავით გოზალიშვილი (იგივე კინომექანიკოსი).

1931 წელს მოწვეული იყვნენ მსახიობები: ლუბა ვერულაშვილი, მარო მესხიშვილი (შემდგომში მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი) ალექსანდრა ყოჩიშვილი (შემდგომში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი) და რეჟისორის თანაშემწე ალექსანდრე შალიკიანი (რუსთაველის თეატრიდან). რამდენიმე დადგმის ესკიზი დაამზადა სახალხო მხატვარმა ელენე ახვლე-

�ma. ორკესტრს ხელმძღვანელობდა მოწვეული მევიოლინე ჟან არტინოვიჩი. თეატრი ხშირად გასვლით წარმოდგენებს მართავდა სოფლად.

1929-31 წლის სეზონში სიღნაღის თეატრში დაიდგა შემდეგი პიესები: ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“, ს. შანშიაშვილის „სპარტაკი“ და „ყამირი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, შ. დადიანის „კაკალ გულში“ და „გეგეჭკორი“, გ. ბუხნიკაშვილის და შარლის „კომისარი მოსკოვიდან“, გ. ბუხნიკაშვილის „სოფლის იმედი“, ტ. რამიშვილის „გაჭირვების ტალკვესი“, კ. კალაძის „როგორ“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, ბ. ლავრენიევის „რღვევა“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ლევიტინის „განაჩენი“, გ. ერისთავის „გაყრა“ და „ძუნწი“, ტატიშჩევის „გვირგვინის ქურდი“, „ლამარა“ (ვაჟა-ფშაველას მიხედვით), გ. ბზიშვილის „ჯალათი მამა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავ“, კირშონის „პური“, ზაიცევის „რობინ ჰუდი“ (მოზარდი მაყურებლებისათვის) და სხვა.

ამ წლებში სიღნაღისა და მისი რაიონის მაყურებლებმა ნახეს აგრეთვე მრავალი საგასტროლო სპექტაკლი: ცეკავშირის მოძრავი თეატრის დადგმები გ. ბუხნიკაშვილის საერთო ხელმძღვანელობით, რომელმაც მარტო სიღნაღის რაიონში ორმოცი წარმოდგენა გამართა [1], თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა გამოსვლები ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით, თბილისის მუშკოოპის თეატრი მიხეილ ჭიაურე-

---

1 საქართველოს სახ. არქივი, ფონდი 600

ლის საერთო ხელმძღვანელობით, საკოლმეურნეო მოძრავი თეატრი დავით კობახიძის ხელმძღვანელობით, ქართლ-კახური სიმღერების ცნობილი გუნდი დები თარხნიშვილების ხელმძღვანელობით და სხვა.

სიღნაღის ხშირი სტუმრები იყვნენ ოპერისა და ფილარმონიის მსახიობების: ნიკო ქუმსიაშვილის, გიორგი ვენაძის, ანტონ ინოველის, ოლღა დოლიძის, მერი შილდელის, ნინო ვარდიაშვილის, ნიკოლოზ ელიოზაშვილის, ანტონ ჭუმბურიძისა და სხვათა საკონცერტო ბრიგადები.

მშობლიურ სიღნაღში საგასტროლოდ ხშირად ჩამოდიოდნენ აგრეთვე ქიზიყის მკვიდრნი: ესტრადის მსახიობი გიორგი მესტიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მერი ნაკაშიძე, მარინე თბილელი და ვასო გოძიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ედიშერ მირიანაშვილი.

ღია კონცერტებს კახეთში ხშირად მართავდა მოგზაური(მოხეტიალე) მუსიკოსი ილიკო ქურხული.

1931 წლის ზაფხულში სიღნაღში კონცერტი გამართეს სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა დაძმა ვანდა და ლეო შიუკაშვილებმა (ამჟამად სახ. კონსერვატორიის პროფესორები).

1932 წლის აგვისტოში სიღნაღში შ. აღსაბაძის რეჟისორობით პ. სამსონიძეს „სალტე“ და ბ. ლავრენიევის „მტრები“ დაიდგა, ხოლო ზ. ურუშაძემ კოოპერაციის დღის აღსანიშნავად „ნოქარი“ დადგა და ჩვენ მიერ დადგმული კირშონის „პური“ აღადგინა.

26 და 27 აგვისტოს სახალხო არტისტ გიორგი დავი-

თაშვილის მონაწილეობით შექსპირის „ჰამლეტი“ დაიდგა (ზოგიერთი სცენები შ. აღსაბაძის მონტაჟით). წავიდა აღსაბაძე და დასი დაიშალა. მოწვეული მსახიობებიც წავიდ-წამოვიდნენ და დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივნი ურეჟისოროდ. ასე იყო 1932 წლის ნოემბრამდე.

1932 წლის სექტემბერში ყვარელში ილია ჭავჭავაძის კარ-მიდამოში ახლად აგებულ და კეთილმოწყობილ თეატრის შენობაში თეატრალური საქმიანობა ის-ის იყო ფეხს იკიდებდა. აწ განსვენებულ მსახიობ-რეჟისორ გიორგი როსებას (ბაღაღოშვილის) რჩევით მთავარხელოვნებამ ყვარლის თეატრის ხელმძღვანელად ამ სტრიქონების ავტორი დანიშნა. ვინაიდან თვით რაიონიც ახალი შექმნილი იყო და შენდებოდა, უბინაობის გამო მსახიობები დროებით სცენის კულისებსა და საგრიმიოროებში ცხოვრობდნენ. სამი პიესა იყო მზად, მაგრამ მოუწყობლობის გამო სეზონი ვერ გაიხსნა. ამიტომ, სიღნაღის მიწვევით რეჟისორი და რამდენიმე წამყვანი მსახიობი სამუშაოდ სიღნაღის თეატრში გადავიდა. რადგან სიღნაღში კინო და თეატრი ისევ ერთ შენობაში მუშაობდა, კვლავ ფერხდებოდა შემოქმედებითი მუშაობა.

სიღნაღში ყვარელიდან გადაყვანილ იქნა მსახიობები ლეო ჭედია (რესპ. სახ. არტისტი, ამჟამად სოხუმის სახ. თეატრის მსახიობი), მერი კანდელაკი, ქეთო მაყაშვილი და რეჟისორის თანაშემწე სარდიონ ჯალიაშვილი, თბილისიდან მოვიწვიეთ მსახიობები არეთა ლოლუა და შალვა გელიკაშვილი, აგრეთვე ორკესტრი. იმავე წლის დეკემბერში სეზონი გაიხსნა გ. ბუხნიკაშვილის პიესით

„მთები დაინგრეს“. ეს პიესა ჯერ კიდევ ყვარელში იყო მომზადებული დასადგმელად. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ჭედია, კანდელაკი, მაყაშვილი და ჯალიაშვილი. სეზონის გახსნაზე მთავარხელოვნებიდან მოვლინებული იყო ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი [1].

1933 წლის აპრილში სიღნაღის თეატრის აგიტმხატვრული ბრიგადა სპეციალური პროგრამით შირაქის მინდვრებში გაემგზავრა საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს კოლმეურნეთა კულტურული მომსახურებისათვის.

1933 წელს სიღნაღში დაიდგა გ. ბუხნიკაშვილის „მთები დაინგრეს“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ს. მთვარაძის „შირაქის გულში“. გარდა ამისა, აღდგენილ იქნა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ და სხვა ძველი დადგმები.

1933 წლის ზაფხულის სეზონში სიღნაღის თეატრში მიწვეული იყო რეჟისორი ვახტანგ გარიკი. მან ორი პიესა დადგა — ს. შანშიაშვილის „ანზორი“ და დ. ჩიანელის „ყარაბ და ემზარ“. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: შ. ალაზნისპირელი, ლ. ჭედია, შ. გელიკაშვილი, მ. კანდელაკი და ადგილობრივი მსახიობები. თეატრის დირექტორად დ. გოზალიშვილი დანიშნეს.

1933-34 წლის სეზონში სიღნაღის თეატრს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი სოსო მებურიშვილი. დირექტორად

---

[1] ამ სეზონის აფიშა-პროგრამები თეატრალურ მუზეუმშია დაცული, ფონდები 21 და 69

ციანიშნა მსახიობი ირაკლი მოლოდინი. დასის შემადგენლობა შეიცვალა. მოწვეული იყვნენ მსახიობები: ნ. ჩიხლაძე, დ. ვაშაკიძე, გ. გორდაძე, ალ. ბენაშვილი, ალ. იმერლიშვილი. დაწინაურდნენ ადგილობრივი სცენისმოყვარეები: გ. ჯალიაშვილი, ი. ედიგარაშვილი, დ. ჩახვაშვილი. 1933 წლის 16 დეკემბერს სეზონი ს. მთვარაძის „სურამის ციხით“ გაიხსნა. დაიდგა აგრეთვე შილერის „ყაჩაღები“, კ. კალაძის „ხატიჯე“, გორდინის „ოკეანის იქით“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, ვ. კირშონის „სასამართლო“, გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ა. შირვანზადეს „პატიოსნებისათვის“, ნ. შკვარკინის „ნაბიჭვარი“ და სხვა.

ადგილობრივი პრესა სისტემატურად აშუქებდა თეატრის მუშაობას, იწერებოდა რეცენზიები და კრიტიკული წერილები, რომლებიც თეატრალურ მუზეუმშია დაცული (ფონდი 21). ამ სეზონის ყველა დადგმა სოსო მებურიშვილს ეკუთვნოდა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი სოსო მებურიშვილი სიღნაღის თეატრის სცენაზე გამოვიდა ჯერ კიდევ 1905 — 1906 წლებში. ს. მებურიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის ნაძალადევის გ. ვ. პლეხანოვის სახელობის კლუბის დრამატულ დასს. შემდეგ ხაშურსა და ჭიათურაში მუშაობდა. 1929 წლიდან ველისციხის სახალხო თეატრს მეთაურობდა. შემდეგ თელავის, სიღნაღის და ისევ ველისციხის თეატრების ხელმძღვანელი იყო. სიღნაღის თეატრში თავისი მუშაობით მებურიშვილმა გარკვეული წვლილი შეიტანა მის ზრდა-განვითარებაში. ს. მებურიშვილი უკანასკნელად გურჯაანის

სახალხო თეატრს ხელმძღვანელობდა, სადაც 1967 წელს დაბადების 80 და თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო გაუმართეს.

1935-36 წლის სეზონში სიღნაღის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეული იყო რეჟისორი გრიგოლ ლაღიძე. თეატრის დირექტორად შეთავსებით მუშაობდა ბანკის მმართველი მიტო შავლიაშვილი. ეს უკანასკნელი სიღნაღის თეატრის დიდი პატრიოტი იყო.

დასის შემადგენლობა შედარებით უფრო კვალიფიციური მსახიობებით შეივსო. ესენი იყვნენ: თ. ღვინიაშვილი, ა. ლოლუა, შ. ხერხეულიძე, ალ. კალანდარიშვილი, ვ. გვენცაძე, გ. ნაცვლიშვილი, ვ. არეშიძე. რეჟისორის თანაშემწედ და მსახიობად მუშაობდა გ. ინჯია. ადგილობრივი ახალგაზრდა მსახიობებიდან წარმატება ჰქონდათ და-ძმა ნატო და გიორგი დენისაშვილებს.

სეზონში დაიდგა: ს. შანშიაშვილის „არსენა“. ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ი. მჭედლიშვილის „ოიანა-ბუიანა“.

ეს უკანასკნელი პიესა მხოლოდ სიღნაღის თეატრში დაიდგა. მთავარ გმირს, ქიზიყელ ბერიკას, ოიანა-ბუიანას როლს თვით გ. ლაღიძე ასრულებდა. მანვე ითამაშა ფერდინანდი „ვერაგობა და სიყვარულში“, ბარონ როზენი „არსენაში“. არსენას როლი ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობმა ვახტანგ არეშიძემ შეასრულა.

1936 წლის ზაფხულში სიღნაღის თეატრი საგასტ-

როლოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში და წარ-
მოდგენები გამართა ზესტაფონში, სამტრედიაში, აბაშა-
ში, ცხაკაიაში, სოხუმში, მახარაძეში და სხვა დაბა-
ქალაქებში.

იმავე ზაფხულში სიღნაღის თეატრში საგასტროლო
სპექტაკლები ჰქონდა თბილისის მუსიკალური კომედიის
თეატრს, რომელსაც მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე ხელ-
მძღვანელობდნენ.

1936-37 წლის სეზონში დასის შემადგენლობა შე-
იცვალა. მოწვეული იყვნენ მსახიობები: ნ. ნინონი,
ნ. წინამძღვრიშვილი და ვ. ადამიძე. დაიდგა: გ. მდივ-
ნის „ბრმა“, ა. აფინოგენოვის „შორეული“, გ. ბერძე-
ნიშვილის ინსცენირება ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრი-
ვი“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, მოლიერის „ეჭვით ავად-
მყოფი“.

1937 წელს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან
არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანე-
ბით რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სახელმწიფო
საკოლმეურნეო თეატრები გაიხსნა, რომელთა შორის
ერთ-ერთი პირველთაგანი იყო სიღნაღის საკოლმეურ-
ნეო თეატრი. მსგავსი თეატრები გაიხსნა აგრეთვე ვე-
ლისციხესა და ლაგოდეხში.

1937-38 წლის სეზონში სიღნაღის საკოლმეურნეო
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მიხეილ ვარდოშვი-
ლი დაინიშნა. რეჟისორის თანაშემწედ ადგილობრივი
ახალგაზრდა გიორგი ჯალიაშვილი დააწინაურეს, დასი
შეივსო მოწვეული მსახიობებით: ნ. ბეროზაშვილისა და
ო. ჯანიაშვილით. დაწინაურდნენ ადგილობრივი ახალ-

გაზრდები: ლ. ისაკოვი, გ. ჯანიკაშვილი, გ. ტყეშელაშვილი, ფ. ჯანიაშვილი და სხვა. ორკესტრი ხუთი კაცისაგან შედგებოდა. დაიდგა: ი. ჯავახიშვილის „ბნელეთის მოციქულები“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ტურისა და შეინინის „პირისპირ“, ა. კაჭკაჭიშვილის „ადელანტე“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

1938-39 წლის სეზონში თეატრის დირექტორად სიღნაღის სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ვასილ სიფრაშვილი დაინიშნა, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი სოსო მებურიშვილი იყო. ეს ორი ხელმძღვანელი სამი სეზონის განმავლობაში წარმატებით უძღვებოდნენ თეატრს, სახელმწიფო დოტაცია იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ დასი კარგი მსახიობებისაგან დაკომპლექტებულიყო.

თეატრს დაუბრუნდნენ გურჯაანიდან გიგო ფხოველიშვილი, ლაგოდეხიდან სერგო ბაშინჯაღოვი. დასს შეემატა გოჰარიკა ბაშინჯაღოვი. მოწვეული იყვნენ: თ. ტარუაშვილი, ა. ნასყიდაშვილი, ს. კალანდარიშვილი, ალ. იმერლიშვილი; დაწინაურდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები: შ. ჩუთლაშვილი და შ. ნაცვლიშვილი. მთავარ მხატვრად მუშაობდა ალ. ჭედია, მხატვარ შემსრულებლად დაწინაურდა ადგილობრივი ახალგაზრდა ირაკლი ჯილაევი, დამდგმელ რეჟისორად დაინიშნა მსახიობი გ. ინჯია. წლების განმავლობაში მოკარნახეთ მუშაობდა ირაკლი ალავერდაშვილი.

თეატრს საკუთარი ავტომანქანა ჰყავდა რაიონის სასოფლო კლუბების მომსახურებისათვის. სეზონში და-

იდგა ვ. კარასაევის „შუქურა“, ს. შანშიაშვილის „ფოლადაური“; მოლიერის „ძალად ექიმი“, მ. ქოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, გ. ბერძენიშვილის „აჭარის მთებში“, გ. სუნდუკიანის „პეპო“ და სხვა.

1938 წლის 17 დეკემბერს სიღნაღის თეატრში გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს ს. მებურიშვილის მიერ ინსცენირებული „ბედი ქართლისა“.

1939 წლის ივნისში თეატრმა მონაწილეობა მიიღო საკოლმეურნეო თეატრების დათვალიერებაში და კარგი შეფასება დაიმსახურა. ადგილობრივი პრესა რეგულარულად აშუქებდა თეატრის მუშაობას.

1939-40 წლის სეზონში თეატრის ხელმძღვანელობა იგივე იყო. მსახიობად და დამდგმელ რეჟისორად მიწვეული იყო ნინო ჩიხლაძე. დაიდგა: ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“, მ. გოგიაშვილის „მწვანე ველი“, ზ. ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“, ტურის და შეინინის „გენერალური კონსული“. ძველი დადგმებიდან განახლდა: ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ციმბირელი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“.

1940 წლის 5 იანვარს თეატრმა დადგა მსახიობ ლ. ისაკოვის პიესა „ხალხისათვის“. პიესას საფუძვლად დაედო ხალხური თქმულება. პიესა „ხალხისათვის“ მაყურებელმა გულთბილად მიიღო და მომდევნო სეზონშიც იდგმებოდა, როგორც სიღნაღის, ასევე ველისციხის თეატრებში.

1940-41 წლის სეზონში სიღნაღის თეატრს კვლავ ს. მებურიშვილი და ვ. სიფრაშვილი ხელმძღვანელობდნენ. დასს შეემატნენ მსახიობები: მ. მესხი, ფ. კოპლატაძე, ს. სამსონია, ქ. ჭილაძე, ლ. შანიძე, ო. ჯანიაშვილი, ტექნიკური რეჟისორი იყო გ. სუქიასოვი, მოკარნახე — ი. ალავერდაშვილი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ეს სეზონი სიღნაღის თეატრისათვის. დაიდგა: შ. დადიანის „რუსთაველი“, ლ. ისაკოვის „იავნანა“, მ. იბსენის „მოჩვენებანი“, მ. ლერმონტოვის „ორი-ძმა (ალხაზიშვილის თარგმანი), გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, ა. შკვარკინის „განკითხვის დღე“, ა. დევიძის „მამა“ და სხვა. განახლებული იქნა წინა სეზონის თითქმის ყველა სპექტაკლი. სეზონი მეტად ნაყოფიერი იყო, მაგრამ მოუსწრო სამამულო ომმა. ბევრი მსახიობი ფრონტზე წავიდა, თეატრებს დოტაცია მოეხსნათ. საჭირო იყო ახლებურად მუშაობა.

* * *

1941 წლის 1 სექტემბრიდან სიღნაღის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ამ სტრიქონების ავტორი დაინიშნა.

თეატრში მსახიობების მცირე ჯგუფი იყო დარჩენილი: თ. მენთეშაშვილი, გ. ბაშინჯაღოვი, გ. ფხოველიშვილი, შ. ნაცვლიშვილი, ს. ბაშინჯაღოვი, ვ. ჯოხარიძე, მ. ხუციშვილი და სხვ. მუშაობა ჭირდა. ძველი დადგმებიდანაც არაფრის განახლება არ ხერხდება. ქალაქად

ქალაქ სიღნაღის ხედი

სიღნაღის მოძრავი დასი
ნ. გვარამიძის
ხელმძღვანელო ბით. 19

პოლიტგანის დრამატული დასი ილო მოსაშვილის
ხელმძღვანელობით. 1921



დ. ერისთავი. „სამშობლო“.

მეშათა კლუბის დრამატული დასი მიხეილ იარალის ხელმძღვანელობით. 1926

თეატრის აგიტბრიგადა შირაქის ველზე



ა. ცაგარელი. „რაც გინახავს ველარ ნახავ“.
გიჟუა — მ. ნაცვლიშვილი

კ. სიმონოვი. „მელოდე დავბრუნდები“.
ლუკომსკი — მ. იარალი

შ. ჯაფარიძე. „ჟამთაბერის ასული“.
რუსუდანი — ნინო ზალდასტანიშვილი,
უფლისწუ ლი — გ. დენისაშვილი

დარჩენილი ახალგაზრდების დახმარებით მსახიობების ძირითადმა ჯგუფმა ერთ თვეში მოამზადა ა. ნავროზოვის პიესა „ჩემი დედა“ (სამამულო ომის თემაზე). და 5 ოქტომბერს გაიხსნა 1941-42 წლის სეზონი.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. ადგილობრივ გაზეთ „კოლმეურნეში“ გამოქვეყნდა ვალ. ბეჟაშვილის დადებითი რეცენზია.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა ირ. ჯილაევმა, ხოლო მუსიკა — ადგილობრივი მუსიკალური სკოლის დირექტორს ვარვარა მეტრეველს ეკუთვნოდა.

მეორე პრემიერა იყო აკაკი წერეთლის „კინტო“. სამამულო ომის თემაზე დაიდგა სტანისლავოვის და თემირხანოვის „შურისძიება“, აგრეთვე რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ა. სულაკაურის „80 წლის ბებია“ და სკეტჩები სამამულო ომის თემაზე.

1942 წლის ივლისში თეატრის აგიტბრიგადამ ძველი ნაგისა და ტიბაანის კოლმეურნეობის, ხარისხისა და ჟუმბათის საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე შვიდი წარმოდგენა გამართა. ხოლო ნუკრიანის, მაღაროს, ბოდბისა და ულიანოვკის საკოლმეურნეო მინდვრებზე — 8 წარმოდგენა.

1942 წელს სიღნაღის თეატრს გორიდან დაუბრუნდა მსახიობი გ. დენისაშვილი, რომელიც სიღნაღის სცენაზე გაიზარდა (ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, გორის თეატრის მსახიობი), თბილისიდან მოწვეულ იქნა მსახიობები ნინო კოლხიდელი-სუმბათაშვილი და გიორგი აღლაძე. ადგილობრივი ახალგაზრდე-

ბიდან დაწინაურდა მიხ. ნადირაძე, რ. ბერიძე, რ. აბრამოვი, რომლებიც მალე წამყვან როლებს ასრულებდნენ. პიესა „შურისძიებაში“ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა იმ დროს გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობმა ნინო ზედგენიძემ.

ჰთავარ მხატვრად მოწვეულ იქნა ადგილობრივი მკვიდრი, ნიჭიერი მხატვარი ნიკოლოზ გომელაური (გომერი), რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკულ ფაკულტეტზე სწავლობდა და იმჟამად აკადემიური შვებულება ჰქონდა.

მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი იყო ადგილობრივი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი ნიკოლოზ დადიანი.

არსებული წესის შესაბამისად, რამდენიმე მსახიობს ჯავშანი ჰქონდა, რაც შესაძლებლობას იძლეოდა თეატრის მუდმივი შემადგენლობის განმტკიცებისა.

1942 წლის 3-დან 11 ოქტომბრამდე, სამამულო ომის პირველი სეზონის რეპერტუარით, თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა წითელწყაროში, სადაც 7 წარმოდგენა გამართა, ხოლო საქნავთის მირზაანის სარეწაოს კლუბში ერთი საღამო-კონცერტი ქართულ და რუსულ ენებზე. ამ გასტროლების გამო საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომის ოფიციალურ დახასიათებაში ნათქვამია: „...თეატრის მიერ ნაჩვენებმა წარმოდგენებმა და კონცერტმა მაყურებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია და კარგი იქნება, რომ თეატრის კოლექტივმა შემდგომშიც მოაწყოს ჩვენს რაიონში ასეთი გასტროლები“.

საგასტროლო სპექტაკლები იმართებოდა საქნავთის მუშათა კლუბის კეთილმოწყობილ სცენაზე.

საქნავთის ტრესტის მმართველის მიერ ხელმოწერილ დახასიათებაში წერია: „...ყველა წარმოდგენას დიდძალი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის საქნავთის მუშების უმრავლესობა და დიდი კმაყოფილება გამოიწვია თეატრის მუშაობამ მოსახლეობაში, რომელიც ამ დიდ სამამულო ომის პერიოდში, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი ეწევა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, აწარმოებს დიდ მუშაობას მასებისათვის. მიუხედავად შემოქმედებითი ძალების ნაკლებობისა, ყველა მსახიობი, როგორც უფროსი თაობა, ისე ახალგაზრდობა განსაკუთრებული მონდომებით და დამაჯერებლობით ასრულებენ თავიანთ როლებს და სპექტაკლების მხატვრულ მთლიანობას უწყობენ ხელს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულმა თეატრმა გამოსათხოვარ საღამოზე წითელწყაროში, ანგარიში გაუწია რუს მოსახლეობას და მათ აჩვენა მხატვრულად გამართლებული სცენები და დეკლამაცია რუსულ ენაზე. საქნავთის მუშათა კოლექტივის სახელით გამოვთქვამთ რა კმაყოფილებას თეატრის ასეთი ნაბიჯისადმი, გამოვთქვამთ სურვილს, რომ სისტემატურად ესტუმროს ხოლმე ჩვენს მუშებს, რითაც მოგვცემს საშუალებას, რომ ჩვენც სათანადოდ შევუწყოთ ხელი და შევაფასოთ მათი ნაყოფიერი, აღმზრდელობითი მუშაობა“ [1].

ასე გარდაიქმნა სიღნაღის თეატრის მუშაობა. და-

---

[1] დახასიათებები დაცულია თეატრალურ მუზეუმში. ფონდი 21

ხურვის კარამდე მისულმა თეატრმა ფრთები გაშალა, ომის დაწყების პირველსავე სეზონში უდოტაციოდ მომსახურებას უწევდა სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მშრომელებს. თეატრის რეპერტუარი სამამულო ომის, პატრიოტულ თემებზე დაწერილი პიესებისაგან შედგებოდა.

სიღნაღის თეატრის პირველი გასტროლების წარმატებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. წითელწყაროდან გადმოვიდა სცენისმოყვარე რევაზ გონაშვილი, რომელიც არ შეუშინდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი თეატრის სიძნელეებს, დასში ჩაირიცხა და რეჟისორის თანაშემწის მოვალეობაც იტვირთა.

გასტროლებიდან დაბრუნებისთანავე თეატრი შეუდგა მზადებას მომავალი 1942-43 წლის სეზონისათვის. დასს შეემატა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი, რაიონის მკვიდრი ნინო ზალდასტანიშვილი. დაიდგა ვ. გუნიას „და-ძმა“, რომლითაც 1942 წლის 15 ნოემბერს სამამულო ომის პერიოდის მეორე სეზონი გაიხსნა.

მთავარი როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ოტია — გ. აღლაძე, გაიოზი — გ. დენისაშვილი, მარინე — ნ. ზალდასტანიშვილი, გადია — ნ. კოლხიდელი, ადამია — მ. იარალი, ფაშა — ნ. გომელაური, გიორგი — რ. ბერიძე. დამდგმელი რეჟისორი მ. იარალი, მხატვარი — გომერი, კომპოზიტორი ნ. დადიანი.

პრემიერას დიდი წარმატება ხვდა წილად. ნინო ზალდასტანიშვილმა თავისი პირველი სცენური ნათლო-

ბა ამ სპექტაკლში, მშობლიურ სიღნაღის თეატრში მი-ღო და სამართლიანად ნიჭიერ მსახიობად იქნა აღიარე-ბული. მან მაყურებელთა დიდი ყურადღება და სიმპა-თია დაიმსახურა, რაც არაერთხელ აღნიშნულა რაიო-ნულ გაზეთში [1].

1943 წლის გაზაფხულში დაიდგა ვ. გუნიას მიერ გადმოქართულებული ალ. სუმბათაშვილის პიესა „ციხის საიდუმლო". პიესა უცხოელ თავდამსხმელების წინააღმ-დეგ ქიზიყელების გმირულ ბრძოლას ასახავდა.

„ციხის საიდუმლო" სიღნაღელი მაყურებლის ერთ-ერთ საყვარელ სპექტაკლად იქცა. მომდევნო პრემიერე-ბი იყო შ. დადიანის „გეგეჭკორი" და ა. ცაგარლის „ხა-ნუმა". „ხანუმაში" მთავარ როლებს ასრულებდნენ: ტყუილკოტრიანცი — ბაშინჯაღოვი (ზვერიაშვილი), სო-ნა — ნ. ზალდასტანიშვილი, აკოფა — მ. იარალი, ვანო ფანტიაშვილი — მ. ხუციშვილი, კოტე ფანტიაშვილი — გ. დენისაშვილი, ხანუმა — თ. მენთეშაშვილი, ქაბატო— ა. ნასყიდაშვილი, ტიმოთე — გ. ფხოველიშვილი.

გარდა ამისა, დაიდგა ერთმოქმედებიანი პიესები და სკეტჩები სამამულო ომის თემაზე.

1942 წლის 14 დეკემბერს თეატრის კოლექტივი მე-ორედ გაემგზავრა საგასტროლოდ წითელწყაროში. რე-პერტუარში იყო: ვ. გუნიას, „და-ძმა", რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", შ. დადიანის „გე-გეჭკორი" ა. ცაგარლის „ხანუმა", დანილინისა და რაი-

---

[1] რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ ზალდასტანიშვი-ლი გორის გ ერისთავის სახ. თეატრის წამყვანი მსახიობია.

მონდის „განგაშია, წყნარად“. გაიმართა 14 წარმოდგენა: 10 მოზრდილთათვის, 3 მოსწავლეთათვის და ერთი კონცერტი მირზაანის სარეწაოს მუშებისათვის რუსულ-ქართულ ენებზე. პიესა „და-ძმა“ ოთხჯერ დაიდგა.

რაიკომმა შემდეგი დახასიათება მისცა თეატრს: „...განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. გუნიას „და-ძმა“, რომელმაც თავისი პატრიოტული შინაარსით ააღელვა მაყურებელი და დარაზმა ისინი სამშობლოსათვის თავდადებისათვის. აღსანიშნავია ის, რომ სიღნაღის თეატრის კოლექტივმა განსაკუთრებული ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა წითელწყაროს მოსახლეობაში, სასურველია თეატრმა არ შეანელოს ამ მხრივ მუშაობა და მომავალშიც ჩაატაროს წითელწყაროში სპექტაკლები“ [1].

გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ დასი შეივსო ახლადმოწვეული მსახიობებით. ესენი იყვნენ: ა. ნასყიდაშვილი, ო. მახარაშვილი, ს. ზვერიაშვილი, ვ. ქართველიშვილი, ვ. ქარცივაძე, ე. ყარაგოზოვი. ფრონტიდან დაბრუნდა მსახიობი ვახტანგ თანდაშვილი.

ამ სეზონში თეატრმა ბევრი გასვლითი წარმოდგენა გამართა სოფლად. რადგან თეატრის ავტომანქანა ფრონტისათვის იქნა მობილიზებული, მსახიობები ფეხით დადიოდნენ სოფლებში. შუაღამისას, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ფეხით ბრუნდებოდნენ სიღნაღში, ტანსაცმელი და რეკვიზიტი ხელით დაჰქონდათ. ყველას

---

[1] საქართველოს თეატრალური მუზეუმი, ფონდი 21

შეგნებული ჰქონდა, რომ შრომობდნენ ფრონტისათვის, სამშობლოსათვის.

ზაფხულში სიღნაღში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი, არჩილ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. მათ ათი წარმოდგენა გამართეს.

1943-44 წლის სეზონში დამდგმელ რეჟისორად მოწვეულ იქნა გიორგი გაბისონია. მისი დადგმით განხორციელდა ივ. ტურიაშვილის „ალაშტრახი“ (სამამულო ომის თემაზე), „ადვოკატი მელაძე“ (ახალი რედაქციით— „ადვოკატი პატლენი“) და ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ხოლო ამ სტრიქონების ავტორმა დადგა: ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“, ვ. გაბუნიას „საბჭოთა კავშირის გმირი“, გ. მდივნის „უღელტეხილი“, დ. ძნელაძის „ბედაური“, ვ. პატარაიას „საბედისწერო დაკითხვა“. გარდა ამისა განახლებულ იქნა: „და-ძმა“, „ციხის საიდუმლო“, „ხანუმა“, „გეგეჭკორი“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „კინტო“.

1943 წლის 6 ივნისიდან 5 ივლისამდე სიღნაღის თეატრი მესამედ გაემგზავრა წითელწყაროში საგასტროლოდ. გაიმართა 22 წარმოდგენა — 18 წითელწყაროში, ერთი საშეფო წარმოდგენა მირზაანის სარეწაოს კლუბში და სამი წარმოდგენა ზემო ქედის კოლმეურნეობის კლუბში. დაესწრო შვიდი ათასი მაყურებელი. არხილოს კალოზე ღია ცის ქვეშ დაიდგა „და-ძმა“.

ერთი წარმოდგენის მთელი შემოსავალი და ყველა წარმოდგენის ანარიცხი, სულ 2.652 მანეთი და 80 კაპიკი თეატრმა ფრონტელთა ოჯახების დამხმარე წითელწყაროს სარაიონო ფონდში გადარიცხა.

თეატრმა გადალახა ყველა დაბრკოლება. გასტროლების დროს მოამზადა და წითელწყაროში განახორციელა მორიგი პრემიერა ვ. ბრაგინისა და გ. ტოვსტონოგოვის „ექიმ ვერბიცკის ცდები“. საქნავთის ხელმძღვანელობამ, მადლობის ნიშნად თეატრს საჩუქრად ორი ტონა ნავთი გაატანა, რაც, მოგეხსენებათ, ძნელი საშოვარი იყო ომის პერიოდში.

1943 წლის გაზაფხულზე გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გრ. გომბორელის (გრ. ნუცუბიძის) სტატია სამამულო ომის პერიოდში სიღნაღის თეატრის ორი წლის მუშაობასთან დაკავშირებით, სადაც ეწერა: „სიღნაღის თეატრი ორი წელია სამეურნეო ანგარიშზეა. თეატრმა შეძლო მუშაობის გარდაქმნა ახალი ვითარების შესაბამისად. 1941 წლის ოქტომბრიდან 1943 წლის ივნისამდე თეატრმა მაყურებელს უჩვენა 20 პრემიერა და დადგა 200 წარმოდგენა. გარდა ქალაქ სიღნაღისა და რაიონის სოფლებისა, მომსახურებას უწევს მეზობელ წითელწყაროს რაიონსაც. ჰყავს აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც ყოველ ზაფხულს მომსახურებას უწევს საკოლმეურნეო მინდვრებს მოსავლის აღების დროს“.

1944 წლის 14 მაისს გაიმართა სიღნაღის მუდმივი პროფესიული თეატრის 15 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. საღამოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოდან დაესწრნენ თეატრების განყოფილების გამგე შ. კილოსანიძე და რეჟისორი შ. აღსაბაძე. ადგილობრივმა გაზეთმა მთელი მეორე გვერდი მიუძღვნა ამ თარიღს.

1944 წლის ზაფხულში სიღნაღის თეატრის მთელი შემადგენლობა საიუბილეო-საგასტროლო მოგზაურობაში გაემგზავრა წითელწყაროში, ლაგოდეხში, გურჯაანში. რეპერტუარში იყო: კ. სიმონოვის „მელოდე დავბრუნდები“, ა. წერეთლის „კინტო“, ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუმა“, უ. ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“, ი. ტურიაშვილის „ალაშტრახი“.

ამ გასტროლებმა დიდად გააუმჯობესა თეატრის მატერიალური მდგომარეობა. გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ თეატრმა სამამულო ომის პერიოდის მეოთხე სეზონისათვის დაიწყო მზადება.

1944-45 წლის სეზონში დასის შემადგენლობაში მოხდა ნაწილობრივი ცვლილებები. ფრონტიდან დაბრუნდა მსახიობი სერგო ბაშინჯაღოვი, ადგილობრივი ახალგაზრდებიდან, მსახიობ შოთა ციციშვილს დაეკისრა მორიგი პრემიერის, გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგის“ დაღგმა. სპექტაკლი, ვადაზე ადრე, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, 9 მაისს წარმოადგინეს.

1945 წლის გაზაფხულზე მოეწყო საარაონო საკოლმეურნეო თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება. სიღნაღის თეატრმა დათვალიერებისათვის მოამზადა პრემიერა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ (ა. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით).

„ხევისბერი გოჩა“ მაყურებელმა გულთბილად მიიღო და პრესის ქება დაიმსახურა. გოჩას როლს ასრულებდა ვ. ქარცივაძე, ონისეს — მ. ნადირაძე, ძიძიას— შ. ჯანიაშვილი, გელას — დ. ჩახვაშვილი და გ. დენისა-

შვილი. რეჟისორი მ. იარალი, კომპოზიტორი ს. მირიანაშვილი, მხატვარი ნ. გომელაური, ქორეოგრაფი თ. დუშელი. „გოჩას“ გარდა დათვალიერებაზე ნაჩვენები იყო: ვ. ტურიაშვილის „ალაშტრახი“, ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“ და პროგრამის გარეშე „არშინ მალ-ალანი“.

23 ივლისს გაიმართა მაყურებელთა კონფერენცია. ხელოვნების სამმართველოდან მოვლინებულმა რეჟისორმა ა. მიქელაძემ შეაჯამა დათვალიერების შედეგები და აღნიშნა: „სამამულო ომის პერიოდში რაიონულ თეატრებს მოეხსნათ დოტაცია, რამაც თეატრალური ფრონტი ჩაშლის გზაზე დააყენა. ამ პერიოდში ბევრმა რაიონის თეატრებმა მიატოვეს თავიანთი ფრონტი, ბევრმა კი შეინარჩუნა თავიანთი უანგარო საქმე. ამ მხრივ სიღნაღის თეატრს მიუძღვის დიდი ღვაწლი. სამამულო ომის პერიოდში მან არათუ შეწყვიტა მუშაობა, არამედ უფრო განამტკიცა, გაზარდა და გააუმჯობესა სპექტაკლების ხარისხი. სიღნაღის თეატრი აუცილებლად არის პროფესიული თეატრი...“[1].

ამავე ზაფხულში თეატრი მეხუთედ გაემგზავრა საგასტროლოდ წითელ წყაროში.

1944 წლის შემოდგომაზე სიღნაღის თეატრმა შეხვედრა მოუწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტ შაქრო გომელაურს, მისი მონაწილეობით აღდგენილი იქნა „და-ძმა“, რომელშიც გომელაურმა ოტიას როლი შეასრულა.

---

[1] ოქმი № 5 დაცულია თეატრალურ მუზეუმში, ფონდი 21

თეატრალური მუზეუმის ფონდში (21) დაცულია სიღნაღის თეატრის დირექციის მოხსენებითი ბარათი (1944 წ.), რომელიც წარმოადგენს პასუხს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შეკითხვაზე, თუ რა გააკეთა თეატრმა ფრონტისა და ზურგისათვის, მოხსენებაში ნათქვამია:

„1) ვინაიდან სიღნაღში ჯარის ნაწილები არ დგას, მხოლოდ გასაწვევ პუნქტებში და წნორის ავიო-სკოლის მსმენელთათვის თეატრმა ჩაატარა 38 საღამო-წარმოდგენა.

2) მოსავლის აღებისა და თესვის კამპანიის დროს საკოლმეურნეო მინდვრებზე ჩატარებულია 25 კონცერტი-წარმოდგენა.

3) წითელწყაროსა და ლაგოდეხში ოთხჯერ მოეწყო საგასტროლო წარმოდგენები (ლაგოდეხში ერთხელ). აქ დაიდგა 80 წარმოდგენა, მათ შორის ხუთი საშეფო.

4) თავდაცვის ფონდში გადარიცხულია 7.800 მანეთი, ფრონტელთა ოჯახების დამხმარე ფონდში — 6.000 მანეთი. უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და ფრონტელთა შვილებისათვის ჩაირიცხა — 5.000 მანეთი, სულ 18.700 მანეთი...“

1945 წლის იანვრიდან თეატრს კვლავ დაენიშნა დოტაცია 80.000 მანეთის რაოდენობით, რაც უდიდესი სტიმული იყო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1945-46 წლის სეზონში სიღნაღის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა სოსო მებურიშვილი. დირექტორად ს. ბაშინჯაღოვი.

ამ სეზონში სიღნაღის თეატრში დაიდგა: შ. ჯაფარი-

ძის „ეამთაბერის ასული“, გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“. აღდგენილი იქნა წინა სეზონიდან: ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“, ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ (ალ. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით), ა. წერეთლის „კინტო“.

1946-49 წლის სეზონში დაიდგა: გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ანტონოვის „ჩვენი ახალგაზრდობა“ ა. კერესელიძის „მეგობრობა“, გ. ქელბაქიანის „გამოცდები“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, გ. ბერძენიშვილის „სიყვარულის ძალა“, ა. აღლაძის „ნათელი დღე“, თ. სვანისა და შ. კილოსანიძის „ელეონორა“, გ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი“, გოუს და დიუსოს „ღრმა ფესვები“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ა. ქოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, გ. ქელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“, გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, გ. ერისთავის „ძუნწი“.

სიღნაღის თეატრმა 1946 წელს მონაწილეობა მიიღო სარაიონო თეატრების დათვალიერებაში. იგი სისტემატურად მომსახურებას უწევდა რაიონის სასოფლო კლუბებს.

1947 წლის 11 ივლისს სიღნაღის თეატრში გაიმართა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

1949-52 წლის სეზონში სიღნაღის თეატრის სამ-

ხატვრა ხელმძღვანელი იყო რობერტ ქართველიშვილი. დასის შემადგენლობას შეემატნენ მსახიობები: მაკა ქართველიშვილი, ე. გვაზავა, ა. ინჯია, აბ. პავლიაშვილი და სიღნაღელი მსახიობი ნინო მდივანოვა. დაიდგა გ. ნახუცრიშვილის „ის დრო წავიდა“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, გ. გოგიჩაიშვილის „ჩვენი დროის ახალგაზრდობა“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია“, ა. დევიძის „კოპოწიას გასაჭირი“, ვ. მიხაილოვისა და ლ. სამოილოვის „ფარული ომი“, კ. ბუაჩიძის „ფაქიზი განცდები“, ს. შანშიაშვილის „ახალი ფუძე“, გ. ქელბაქიანის „ჩვენი პირადი საქმე“, „თქმულება დიად მეგობრობაზე“, გ. ბერძენიშვილის „მშვიდობის მტრედები“, ო. ჩიჯავაძის „დოლარის ბრჭყალები“, ა. კაჭკაჭიშვილის „ჩვენი ადამიანები“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“.

ომის შემდეგ სპექტაკლების მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდა ადგილობრივ ახალგაზრდა მხატვარს გ. ნადირაშვილს, ხოლო მუსიკალური გაფორმება მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელ გრიგორიევს.

რ. ქართველიშვილის რამდენიმე დადგმა მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა მიხეილ ჩირინაშვილმა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

მ. ჩირინაშვილი მკვიდრი სიღნაღელია. იგი დღესაც არ სწყვეტს კავშირს მშობლიურ სიღნაღთან და სახალხო თეატრის მთელ რიგ დადგმებს მუსიკალურად აფორმებს.

აღსანიშნავია, რომ ომის შემდგომ პირველ წლებში სიღნაღში საგასტროლოდ იყო თბილისის ზ. ფალიაშვი-

ლის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი. მათ ღია ცის ქვეშ, იქ, სადაც გათვალისწინებულია თეატრის ახალი შენობის აგება, დადგეს ოპერა „დაისი“. როგორც ქალაქის მცხოვრებნი აღნიშნავენ, ოპერას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებელზე.

თეატრის სცენაზე კი ხშირად ეწყობოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის, მუსიკალური კომედიის, აგრეთვე თელავის, ცხინვალისა და სხვა თეატრების მსახიობთა ბრიგადების გასტროლები.

1951 წლის 30 ნოემბერს ქართული თეატრის ასი წლისთავის აღსანიშნავად სიღნაღის თეატრმა დადგა გ. ერისთავის „ძუნწი“.

საგასტროლო სპექტაკლები იმართებოდა წითელწყაროში და გასვლითი სპექტაკლები სოფლად.

1952 წლის მარტში სიღნაღის თეატრი დაიხურა.

* * *

როგორც იტყვიან, პატარა საშუალებითაც შეიძლება დიდი საქმე გაკეთდესო, ასე იყო სიღნაღის თეატრის საქმე. იმთავითვე მას არ გააჩნდა დიდი და კეთილმოწყობილი შენობა, მაგრამ პატარა დარბაზშიც ის დიდ სახალხო საქმეს აკეთებდა. ამას მეტყველებს განვლილი რთული გზა.

საკოლმეურნეო თეატრის „კონსერვირების“ შემდეგ სიღნაღის კულტურის სახლში თეატრალური კოლექტივი მუშაობდა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ყო-

ფილი თეატრის ზოგიერთი მსახიობი და ახალგაზრდა სცენისმოყვარენი.

1959 წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით სიღნაღში შეიქმნა სახალხო თეატრი და გეგმით დაიწყო მუშაობა. მისი პირველი რეჟისორი იყო ყოფილი საკოლმეურნეო თეატრის მსახიობი აბრამ პავლიაშვილი, რომელიც 1961 წლის დამლევამდე მუშაობდა. მან დადგა: ა. აფხაიძის „იალაღებზე“, ე. რანეტის „გზააბნეული შვილი“, შ. მილორავას „პროტექტორის ძიებაში“, შ. დადიანის „მზის ამოსვლამდე“, გ. ერისთავის „ძუნწი“, კ. როსტომაშვილისა და ნ. ანანიაშვილის „მეგობრობა და სიყვარული“, ს. მთვარაძის „უმადური“, შ. ჯაფარიძის „დიდი კათაკმეველი“ ო. რაზმაძისა და ნ. მასხარაშვილის „პირველი მერცხლები“.

1961-62 წლის სეზონში რეჟისორად მუშაობდა კიაზო ხმალაძე, რომელმაც დადგა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“ და სტეფანსკის „ჯადო“.

1963 წელს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნუნუ მაჭავარიანმა დადგა ს. ფაშალიშვილის „საქმროების არჩევანში“, ხოლო ვ. მოდებაძემ — გ. ივანიშვილის „შემთხვევა გზაზე“.

1964 წლიდან სიღნაღის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო კულტურის სახლის დირექტორი შოთა ლომიძე. პიესებს დგამდნენ რეჟისორი სოსო მებურიშვილი და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა რეჟისორები:

ვ. მოდებაძე, მ. მეტრეველი და თვით შ. ლომიძე. მათ დადგეს: ვ. მოდებაძის პიესა „ფულის გიჟები სასამართლოს მოლოდინში“, ძმები მხარგრძელების „მიცვალებული იძულებით“, კ. დადიანის „წარღვნის შემდეგ“ და ა. დევიძის „მეუღლენი“. ეს უკანასკნელი სპექტაკლი თეატრმა აჩვენა სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე თბილისში (ვ. მოდებაძის დადგმით) და მეორე ხარისხის ჯილდო მიიღო.

1965-67 წლის სეზონში სახალხო თეატრის ხელმძღვანელად მუშაობდა კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული კოტე მახარაშვილი. მან დადგა: რ. ებრალიძის „ნანა“, ო. დგებუაძის „ოთხი სიცოცხლე“, გ. მდივნის „სამშობლო“, ი. ჭავჭანიძის „კეთილი მეზობლები“, ნ. არეშიძის „განაჩენი აღარ გასაჩივრდება“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ნ. არეშიძის „დამნაშავენი“, ს. მებურიშვილისა და შ. ლომიძის რეჟისორობით დაიდგა ვ. კატაევის „მოუსვენარი დასვენება“, შ. ლომიძემ და მ. მეტრეველმა კი დადგეს ნ. არეშიძის „ვინ არის დედა“.

1967 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო ფესტივალში სიღნაღის სახალხო თეატრმაც მიიღო მონაწილეობა. კ. მახარაშვილის დადგმით თბილისში აჩვენა მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“ და მეორე ხარისხის დიპლომი და საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1968 წელს ს. მებურიშვილმა დადგა ა. გეწაძის „მზე ცრემლებში“, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის

კურსდამთავრებულმა მ. ამირხანოვმა — გ. ბერიაშვილის „მეხდაცემული კაკალი“. მანვე 1969 წელს დადგა გ. ბაწელაშვილის „მეწისქვილე ვანო“, და დ. კეკერაძის „ცოლშვილიანი უცოლო“. კ. მახარაშვილმა ამ სეზონში დადგა ნ. არეშიძის „დედა“.

სიღნაღის კულტურის სახლში მუშაობს აგრეთვე თოჯინების სახალხო თეატრი — მსახიობ ბაბული ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც 1967 წელს ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მესამე ხარისხის ჯილდო მიიღო. ყველა სპექტაკლს მხატვრულად აფორმებს გიორგი დანიელაშვილი.

საგულისხმოა, რომ 1967 წლის საკავშირო ფესტივალში სიღნაღის რაიონიდან მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სოფელ ნუკრიანის სასოფლო კლუბის თეატრალურმა კოლექტივმა, რომელმაც აჩვენა მარიკა ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“ და პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო, და ქ. წნორის კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა კი ს. მთვარაძის „უმადურის“ დადგმისათვის მესამე ხარისხის ჯილდო დაიმსახურა.

სიღნაღის სახალხო თეატრში ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობენ მსახიობები: სერგო ბაშინჯაღოვი და აბრამ პავლიაშვილი. თეატრის საქმიანობაში მონაწილეობენ და მისი სამხატვრო საბჭოს აქტიური წევრები არიან ძველი მსახიობები: გიგო ფხოველიშვილი, თამარ მენთეშაშვილი, ლენტო ნატოშვილი (ისაკოვი).

ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეოდ 1970 წელს სიღნაღის თეატრმა დადგა გ. ბერიაშვილის „სად ხარ, ჩემო მებაღეო?!“ და მონაწილეობა

მიიღო სახალხო თეატრების დათვალიერების პირველ ტურში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით დასადგმელად შერჩეულ იქნა ლენტო ნატოშვილის პიესა „ქარიშხალი ალაზანზე“, რომელიც მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერა და 1939-40 წლის სეზონში იდგმებოდა სიღნაღისა და ველისციხის თეატრებში სათაურით „ხალხისათვის“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

პიესა თითქმის ხელახლად დაიწერა და ბევრად განსხვავებული და გაუმჯობესებულია პირველ ვარიანტთან შედარებით.

პიესაში ბევრი (ოცდაათამდე) მოქმედი პირია. ცხადია, სახალხო თეატრის პირობებში, დიდ სიძნელეს ქმნიდა ამდენი ხალხის თავმოყრა, მაგრამ თეატრი არ შეუშინდა სიძნელეებს. სპექტაკლში ჩაბმული იქნა ძველი მსახიობები და მნიშვნელოვანი ნაწილი ახალბედა მსახიობებისა.

თვით პიესის ავტორი, რომელიც ყოველ რეპეტიციას ესწრებოდა პარალელურად მუშაობდა პიესის ტექსტის დახვეწაზე.

თეატრისა და დრამატურგის ურთიერთ შემოქმედებითმა კავშირმა კარგი ნაყოფი გამოიღო.. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. იარალმა, მხატვრულად გააფორმა ბესო ბესელიამ, რომელმაც თავისი მასწავლებლის ფ. ლაპიაშვილის დახმარებით შექმნა ქიზიყის სოფლის დამახასიათებელი, მიმზიდველი დეკორაციები. მუსიკა

დაწერა კომპოზიტორმა მიხეილ ჩირინაშვილმა. მან კარგად გამოიყენა ხალხური მოტივები, რაც სპექტაკლის განუყოფელი ნაწილი გახდა.

პრემიერა 1971 წლის 6 აპრილს შედგა. სპექტაკლს გამარჯვება ხვდა წილად.

იმავე წლის 27 და 28 ოქტომბერს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლისა და თეატრალური საზოგადოების მიერ მოეწყო სიღნაღში მაყურებელთა კონფერენცია.

ნაჩვენები იქნა ორი სპექტაკლი ლ. ნატოშვილის — „ქარიშხალი ალაზანზე“ და ვ. მოდებაძის „ცხოვრების გზაზე“ (რეჟისორი ვ. თანდაშვილი). ორივე სპექტაკლმა მაღალი შეფასება მიიღო. კომისიამ გადაწყვიტა, რომ „ქარიშხალი ალაზანზე“, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი სახალხო თეატრების სპექტაკლებს შორის, ნაჩვენები იქნეს თბილისში[1].

ამჟამად კახეთში მომუშავე ხუთი სახალხო თეატრიდან ოთხი ყოფილ სიღნაღის მაზრაში მუშაობს. სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხისა და ველისციხის სახალხო თეატრები ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან.

ამ სახალხო თეატრების ტონის მიმცემი იმთავითვე იყო და იქნება ასი წლის იუბილარი სიღნაღის სახალხო თეატრი.

---

[1] „თეატრალური მოამბე“, 1971, № 6.

ИАРАЛИ МИХАИЛ БОГДАНОВИЧ

СИГНАХСКИЙ НАРОДНЫЙ ТЕАТР

(На грузинском языке)

Издательство «Хеловнеба»
Тбилиси, пр. Плеханова, 179
1972

რედაქტორი გ. ბუხნიკაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. კემულარია
მხატვარი ილ. უთურაშვილი
მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე
ტექრედაქტორი ჯ. ბურდული
კორექტორი მ. ბეჟანიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI-72 წ.
ქაღალდის ზომა 70×1/32
ნაბეჭდი თაბახი 5,42
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,97
ფე 01564. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 759.
ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „ხელოვნება"
თბილისი, პლეხანოვის 179
1972

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета Министров Грузинской ССР по печати.
Тбилиси ул. Орджоникидзе № 50.